



საქართველოს განვითარების ფონდი
DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	14

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს საქართველოს განვითარების ფონდის და მისი შვილობილი საწარმოების (შემდეგში „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

- 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (საწყისი ნაშთი და შესადარისი პერიოდი), იყო მიანიშნება იმისა, რომ სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ს (ფონდის შვილობილი კომპანია) ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება ყოფილიყო მის საბალანსო ღირებულებებზე დაბალი, რაც შეადგენდა 73,586 ათას ლარს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მოითხოვს რომ, მსგავსი მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ ანაზღაურებადი ღირებულებების ფორმალური შეფასება გააკეთოს. მსგავსი შეფასებები არ გაკეთებულა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს აღრიცხვის სტანდარტების აღნიშნული დარღვევის გავლენა (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ყოფილა განსაზღვრული.
- შვილობილ საწარმო სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებელთან (შპს Elbit Systems – Cyclone) აქვს სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12,196 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და მიღებული სესხები 8,941 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. აუდიტის პროცესში ვერ იქნა მიღებული მესამე მხარის დასტურის წერილი მოცემული ნაშთების დასადასტურებლად. ასევე ვერ მოვიპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მიღებული სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ (დაფარვის ვადები და სხვა პირობები). შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან, მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაში წარმოდგენილის შესაბამისად, 2023 წლის 6 სექტემბრით დათარიღებული აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედვით, ჯგუფის განთავსებული კაპიტალი 250,000 ათასი ლარით განისაზღვრა და გამოცხადდა როგორც „მთლიანად გადახდილი“. როგორც სხვა გარემოებათა პარაგრაფშია ნახსენები, ვინაიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გადახდილი განთავსებული კაპიტალი“ 100,000 ათასი ლარის ოდენობით იყო აღრიცხული და 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა კაპიტალის დამატებითი შენატანები, ჯგუფმა აღიარა 150,000 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნა აქციონერის მიმართ, მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (საწყისი ნაშთი და შესადარისი პერიოდი). 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ მიუმატავს აქციონერისთვის გამოცხადებულ გადახდილ განთავსებულ კაპიტალსა და განთავსებულ კაპიტალში ფაქტობრივად განხორციელებულ შენატანს შორის სხვაობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ დავადასტურეთ და ვერ შევამოწმეთ

ალტერნატიული საშუალებებით აქციონერის მიმართ არსებული მოთხოვნის ამოღებადობა, რადგან ჩვენთვის არ მოუწოდებიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ნაშთის ამოღებადობის დასამტკიცებლად. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ იყო თუ არა საჭირო კორექტირებები აქციონერის მიმართ არსებულ მოთხოვნასთან და 2024 წლის 31 დეკემბრის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგების დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში.

4. როგორც მე-6 შენიშვნაშია მოცემული, ჯგუფმა გადაიანგარიშა 2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგება, კერძოდ კორექტირება გააკეთა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,861 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და გაუფასურების აღდგენა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის 6,240 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კომპანიის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის გაუფასურების აღდგენაზე. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირება გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) გაუფასურებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გაუფასურების აღდგენაზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ამ მიზეზით, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.
5. სს ბორჯომ ლიკანი ინტერნეიშენალის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინარე აუდიტორს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების არსებობაზე პირობითი მოსაზრება აქვს გამოთქმული (1,246 ათასი ლარი ნაშთი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის პროცესის დროს ჩვენც ვერ შევძელით საწყის ნაშთზე მარაგების არსებობაზე შესაბამისი რწმუნების მოპოვება, შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგებზე ჩვენც გამეთქვამთ პირობითი მოსაზრებას. თუმცა, ჩვენ დავესწარიტ მარაგების ფიზიკური დათვლის პროცესს და მივიღეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების ნაშთის შესახებ, რომელიც აღრიცხულია 1,444 ათასი ლარის ოდენობით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
6. სს ბორჯომ ლიკანი ინტერნეიშენალის არ აწარმოებდა სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერებს ძირითადი საშუალებებისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 220 ათასი ლარის ოდენობით აღრიცხული ინვენტარის და ავეჯის საბალანსო ღირებულების შესახებ. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ იყო, თუ არა საჭირო კორექტირებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან, ცვეთის ხარჯთან და ფინანსური მდგომარეობის, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლად ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

წინა პერიოდის ანგარიში

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2024 წლის 30 დეკემბერს.

პირობითი მოსაზრების საფუძვლებს წარმოადგენდა შემდეგი გარემოებები:

1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაში წარმოდგენილის შესაბამისად, 2023 წლის 6 აპრილით დათარიღებული აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედვით, ჯგუფის განთავსებული კაპიტალი 250,000 ათასი ლარით იყო განისაზღვრული და გამოცხადდა როგორც „მთლიანად გადახდილი“. ვინაიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის (წინარე ფინანსური ანგარიშის საწყისი ნაშთი და შესადარისი ინფორმაცია) და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გადახდილი განთავსებული კაპიტალი“ 100,000 ათასი ლარის ოდენობით იყო აღრიცხული და 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა კაპიტალის დამატებითი შენატანები, ჯგუფმა აღიარა 150,000 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნა აქციონერის მიმართ, მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ მიუმართავს აქციონერისთვის გამოცხადებულ გადახდილ განთავსებულ კაპიტალსა და განთავსებულ კაპიტალში ფაქტობრივად განხორციელებულ შენატანს შორის სხვაობასთან დაკავშირებით. წინარე პერიოდის აუდიტორებმა ვერ შეძლეს შეემოწმებინათ ალტერნატიული საშუალებებით აქციონერის მიმართ არსებული მოთხოვნის ამოღებადობა.
2. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, იყო მინიშნება იმისა, რომ სს "აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)"-ს (ფონდის შვილობილი კომპანია) ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება ყოფილიყო მის საბალანსო ღირებულებებზე დაბალი, რაც შეადგენდა 73,586 ათას ლარს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ბასს 36 "აქტივების გაუფასურება" მოითხოვს რომ, მსგავსი მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ ანაზღაურებადი ღირებულებების ფორმალური შეფასება გააკეთოს. მსგავსი შეფასებები არ გაკეთებულა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს აღრიცხვის სტანდარტების აღნიშნული დარღვევის გავლენა (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ყოფილა განსაზღვრული.

წინა პერიოდის ანგარიშის კორექტირება

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, რომელიც ეხება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომლებიც შეტანილი იქნა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელსაც გაცემული აქვს პირობითი მოსაზრება (იხილეთ ზემოთ *წინა პერიოდის ანგარიშის* პარაგრაფი). ჩვენი აზრით, აღნიშნული კორექტირება მიზანშეწონილია და სათანადოდ არის აღრიცხული. ჩვენი ამოცანა არ იყო კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მიმოხილვა ან რაიმე სხვა პროცედურების ჩატარება მასზე, გარდა ზემოთ ნახსენები კორექტირებებისა, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას, ან რაიმე რწმუნებას კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულება გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობააგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის

დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფის არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- ▶ აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

11 ნოემბერი 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს საქართველოს განვითარების ფონდის და მისი შვილობილი საწარმოების (შემდეგში „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხებისა თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

- 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (საწყისი ნაშთი და შესადარისი პერიოდი), იყო მინიშნება იმისა, რომ სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ს (ფონდის შვილობილი კომპანია) ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება ყოფილიყო მის საბალანსო ღირებულებებზე დაბალი, რაც შეადგენდა 73,586 ათას ლარს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მოითხოვს რომ, მსგავსი მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ ანაზღაურებადი ღირებულებების ფორმალური შეფასება გააკეთოს. მსგავსი შეფასებები არ გაკეთებულა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს აღრიცხვის სტანდარტების აღნიშნული დარღვევის გავლენა (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ყოფილა განსაზღვრული.
- შვილობილ საწარმო სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებელთან (შპს Elbit Systems – Cyclone) აქვს სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12,196 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და მიღებული სესხები 8,941 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. აუდიტის პროცესში ვერ იქნა მიღებული მესამე მხარის დასტურის წერილი მოცემული ნაშთების დასადასტურებლად. ასევე ვერ მოვიპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მიღებული სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ (დაფარვის ვადები და სხვა პირობები). შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან, მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაში წარმოდგენილის შესაბამისად, 2023 წლის 6 სექტემბრით დათარიღებული აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედვით, ჯგუფის განთავსებული კაპიტალი 250,000 ათასი ლარით განისაზღვრა და გამოცხადდა როგორც „მთლიანად გადახდილი“. როგორც სხვა გარემოებათა პარაგრაფშია ნახსენები, ვინაიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გადახდილი განთავსებული კაპიტალი“ 100,000 ათასი ლარის ოდენობით იყო აღრიცხული და 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა კაპიტალის დამატებითი შენატანები, ჯგუფმა აღიარა 150,000 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნა აქციონერის მიმართ, მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (საწყისი ნაშთი და შესადარისი პერიოდი). 2023

4. წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ მიუმართავს აქციონერისთვის გამოცხადებულ გადახდილ განთავსებულ კაპიტალსა და განთავსებულ კაპიტალში ფაქტობრივად განხორციელებულ შენატანს შორის სხვაობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ დავადასტურეთ და ვერ შევამოწმეთ ალტერნატიული საშუალებებით აქციონერის მიმართ არსებული მოთხოვნის ამოღებადობა, რადგან ჩვენთვის არ მოუწოდებიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ნაშთის ამოღებადობის დასამტკიცებლად. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ იყო თუ არა საჭირო კორექტირებები აქციონერის მიმართ არსებულ მოთხოვნასთან და 2024 წლის 31 დეკემბრის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგების დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში.
5. როგორც მე-6 შენიშვნაშია მოცემული, ჯგუფმა გადაიანგარიშა 2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგება, კერძოდ კორექტირება გააკეთა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,861 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და გაუფასურების აღდგენა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის 6,240 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კომპანიის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის გაუფასურების აღდგენაზე. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირება გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) გაუფასურებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გაუფასურების აღდგენაზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ამ მიზეზით, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.
6. სს ბორჯომ ლიკანი ინტერნეიშენალის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინარე აუდიტორს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების არსებობაზე პირობითი მოსაზრება აქვს გამოთქმული (1,246 ათასი ლარი ნაშთი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის პროცესის დროს ჩვენც ვერ შევძელით საწყის ნაშთზე მარაგების არსებობაზე შესაბამისი რწმუნების მოპოვება, შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგებზე ჩვენც გამეთქვამთ პირობითი მოსაზრებას. თუმცა, ჩვენ დავესწარიტ მარაგების ფიზიკური დათვლის პროცესს და მივიღეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების ნაშთის შესახებ, რომელიც აღრიცხულია 1,444 ათასი ლარის ოდენობით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
7. სს ბორჯომ ლიკანი ინტერნეიშენალის არ აწარმოებდა სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერებს ძირითადი საშუალებებისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 220 ათასი ლარის ოდენობით აღრიცხული საოფისე ინვენტარის და ავეჯის საბალანსო ღირებულების შესახებ. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ იყო, თუ არა საჭირო კორექტირებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან, ცვეთის ხარჯთან და ფინანსური მდგომარეობის, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად,

რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

წინა პერიოდის ანგარიში

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2024 წლის 30 დეკემბრის.

პირობითი მოსაზრების საფუძვლებს წარმოადგენდა შემდეგი გარემოებები:

1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაში წარმოდგენილის შესაბამისად, 2023 წლის 6 აპრილით დათარიღებული აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედვით, ჯგუფის განთავსებული კაპიტალი 250,000 ათასი ლარით იყო განისაზღვრული და გამოცხადდა როგორც „მთლიანად გადახდილი“. ვინაიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის (წინარე ფინანსური ანგარიშის საწყისი ნაშთი და შესადარისი ინფორმაცია) და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გადახდილი განთავსებული კაპიტალი“ 100,000 ათასი ლარის ოდენობით იყო აღრიცხული და 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა კაპიტალის დამატებითი შენატანები, ჯგუფმა აღიარა 150,000 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნა აქციონერის მიმართ, მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ მიუმართავს აქციონერისთვის გამოცხადებულ გადახდილ განთავსებულ კაპიტალსა და განთავსებულ კაპიტალში ფაქტობრივად განხორციელებულ შენატანს შორის სხვაობასთან დაკავშირებით. წინარე პერიოდის აუდიტორებმა ვერ შეძლეს შეემოწმებინათ ალტერნატიული საშუალებებით აქციონერის მიმართ არსებული მოთხოვნის ამოღებადობა.
2. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, იყო მინიშნება იმისა, რომ სს "აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)"-ს (ფონდის შვილობილი კომპანია) ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება ყოფილიყო მის საბალანსო ღირებულებებზე დაბალი, რაც შეადგენდა 73,586 ათას ლარს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ბასს 36 "აქტივების გაუფასურება" მოითხოვს რომ, მსგავსი მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ ანაზღაურებადი ღირებულებების ფორმალური შეფასება გააკეთოს. მსგავსი შეფასებები არ გაკეთებულა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს აღრიცხვის სტანდარტების აღნიშნული დარღვევის გავლენა (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ყოფილა განსაზღვრული.

წინა პერიოდის ანგარიშის კორექტირება

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, რომელიც ეხება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომლებიც შეტანილი იქნა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება აუდიტებულია სხვა აუდიტორის

მიერ, რომელსაც გაცემული აქვს პირობითი მოსაზრება (იხილეთ ზემოთ წინა პერიოდის ანგარიშის პარაგრაფი). ჩვენი აზრით, აღნიშნული კორექტირება მიზანშეწონილია და სათანადოდ არის აღრიცხული. ჩვენი ამოცანა არ იყო კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მიმოხილვა ან რაიმე სხვა პროცედურების ჩატარება მასზე, გარდა ზემოთ ნახსენები კორექტირებებისა, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას, ან რაიმე რწმუნებას კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გაგვეკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;

- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობააგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფის არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- ▶ აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

11 ნოემბერი 2025



სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

’000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023		01 იანვარი 2023
		31 დეკემბერი 2024	გადაანგარიშებული*	გადაანგარიშებული*
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	129,694	132,792	126,512
საინვესტიციო ქონება	11	62,295	62,221	64,662
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	15	13,567	11,016	20,010
სხვა ინვესტიციები	12	13,560	12,603	10,311
არამატერიალური აქტივები	13	4,224	7,987	7,236
სასესხო მოთხოვნები	14	13,406	581	3,002
ვადიანი ანაზრები	18	2,000	13,555	-
გრძელვადიანი აქტივები		238,746	240,755	231,733
მარაგები	17	17,750	9,391	8,261
სასესხო მოთხოვნები	14	6,382	1,757	613
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	16	2,991	9,220	3,439
მოთხოვნა აქციონერის მიმართ	20	150,000	150,000	-
სავაჭრო მოთხოვნები		2,797	3,502	96
მოთხოვნა ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	24(a)	-	56,934	57,770
მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები		82	768	706
მისაღები დივიდენდები		-	-	2,913
ვადიანი ანაზრები	18	12,000	3,200	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19	68,359	67,506	35,528
მოკლევადიანი აქტივები		260,361	302,278	109,326
სულ აქტივები		499,107	543,033	341,059
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	20(a)	250,000	250,000	100,000
მესაკუთრის განაწილებები	20(b)	(55,844)	(55,970)	(55,159)
გაუნაწილებელი მოგება		178,797	183,883	150,221
ვალუტის კონვერტაციის რეზერვი		26,781	22,964	21,936
ჯგუფის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი		399,734	400,877	216,998
არამაკონტროლებელი წილები		(14,924)	(11,603)	(11,606)
სულ კაპიტალი		384,810	389,274	205,392
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	21	33,603	9,421	9,852
სხვა ვალდებულებები	22	11,396	10,919	10,970
ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	24(b)	-	-	47,738
გრძელვადიანი ვალდებულებები		44,999	20,340	68,560
ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	24(b)	-	53,037	-
სესხები და კრედიტები	21	19,907	47,203	50,363
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23	48,765	32,553	16,653
გრძელვადიანი აქტივებისთვის მიღებული ავანსები		535	535	-
ანარიცხები		91	91	91
მოკლევადიანი ვალდებულებები		69,298	133,419	67,107
სულ ვალდებულებები		114,297	153,759	135,667
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		499,107	543,033	341,059

*შესაძარის ინფორმაცია გადაანგარიშებულია კორექტირებების გათვალისწინებით, იხილეთ ასევე შენიშვნა 5.

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
2024 წლის კონსოლიდირებული მოგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2023	
		2024	გადაანგარიშებული*
უწყვეტი ოპერაციები			
შემოსავალი	6	41,381	27,808
სხვა საინვესტიციო შემოსავალი	15(b)	2,056	34,457
საოპერაციო ხარჯები	7	(25,946)	(16,077)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(16,144)	(13,625)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,072)	(10,264)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი	15	(234)	(1,300)
სხვა შემოსავალი		1,254	2,594
სასესხო მოთხოვნასთან დაკავშირებული გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		3,046	(1,212)
არაფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		(1,625)	16,398
სხვა აქტივების გაუფასურების ზარალი		(2,044)	-
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურების ზარალი		(553)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		347	-
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(8,534)	38,779
ფინანსური შემოსავალი	8	7,709	7,859
ფინანსური ხარჯი	8	(10,587)	(12,969)
წმინდა ფინანსური ზარალი		(2,878)	(5,110)
(ზარალი)/შემოსავალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(11,412)	33,669
მოგების გადასახადის ხარჯი	9	1,038	(534)
წლიური (ზარალი)/მოგება		(10,374)	33,135
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, დაბეგვრის შემდეგ		5,784	1,558
(ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(4,590)	34,693
წლიური მოგება რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		(5,086)	33,662
არამაკონტროლებელ წილეებს		(5,288)	(527)
		(10,374)	33,135
(ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		(1,269)	34,690
არამაკონტროლებელ წილეებს		(3,321)	3
		(4,590)	34,693

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია კორექტირებების გათვალისწინებით, იხილეთ ასევე შენიშვნა 5.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:



ბესიკ ბუგაჩიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია გვერდებზე 14-დან 64-მდე.

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
2024 წლის კონსოლიდირებული მოგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული*
უწყვეტი ოპერაციები			
შემოსავალი	6	41,381	27,808
სხვა საინვესტიციო შემოსავალი	15(b)	2,056	34,457
საოპერაციო ხარჯები	7	(25,946)	(16,077)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(16,144)	(13,625)
ცვეთა და ამორტიზაცია		(10,072)	(10,264)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი	15	(234)	(1,300)
სხვა შემოსავალი		1,254	2,594
სასესხო მოთხოვნასთან დაკავშირებული გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		3,046	(1,212)
არაფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		(1,625)	16,398
სხვა აქტივების გაუფასურების ზარალი		(2,044)	-
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურების ზარალი		(553)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		347	-
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(8,534)	38,779
ფინანსური შემოსავალი	8	7,709	7,859
ფინანსური ხარჯი	8	(10,587)	(12,969)
წმინდა ფინანსური ზარალი		(2,878)	(5,110)
(ზარალი)/შემოსავალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(11,412)	33,669
მოგების გადასახადის ხარჯი	9	1,038	(534)
წლიური (ზარალი)/მოგება		(10,374)	33,135
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, დაბეგვრის შემდეგ		5,784	1,558
(ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(4,590)	34,693
წლიური მოგება რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		(5,086)	33,662
არამაკონტროლებელ წილებს		(5,288)	(527)
		(10,374)	33,135
(ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეებს		(1,269)	34,690
არამაკონტროლებელ წილებს		(3,321)	3
		(4,590)	34,693

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია კორექტირებების გათვალისწინებით, იხილეთ ასევე შენიშვნა 5.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

ბესიკ ბუგიანიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია გვერდებზე 14-დან 64-მდე.

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
2024 წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	ჯგუფის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი						სულ კაპიტალი
	განთავსებული კაპიტალი	მესაკუთრის შენატანები/(განაწი ლებები)	გაუნაწილებელი მოგება	ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	სულ	არამაკონტროლებელ ი წილები	
'000 ლარი							
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,000	(55,159)	145,356	-	190,197	(1,130)	189,067
გადაანგარიშების კორექტირება	-	-	4,865	21,936	26,801	(10,476)	16,325
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით							
გადაანგარიშებული*	100,000	(55,159)	150,221	21,936	216,998	(11,606)	205,392
წლიური მოგება/(ზარალი)	-	-	33,662	-	33,662	(527)	33,135
სხვა სრული შემოსავალი, დაბეგვრის შემდეგ	-	-	-	1,028	1,028	530	1,558
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები							
მესაკუთრეებთან							
განთავსებული კაპიტალის ზრდა (იხ. 20(a))	150,000	-	-	-	150,000	-	150,000
არაფულადი აქტივების გატანა	-	(811)	-	-	(811)	-	(811)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	250,000	(55,970)	183,883	22,964	400,877	(11,603)	389,274
 ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	250,000	(55,970)	183,883	22,964	400,877	(11,603)	389,274
წლიური ზარალი	-	-	(5,086)	-	(5,086)	(5,288)	(10,374)
სხვა სრული შემოსავალი, დაბეგვრის შემდეგ	-	-	-	3,817	3,817	1,967	5,784
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები							
მესაკუთრეებთან							
არაფულადი აქტივების ზრდა	-	126	-	-	126	-	126
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	250,000	(55,844)	178,797	26,781	399,734	(14,924)	384,810

*შესაძარის ინფორმაცია გადაანგარიშებულია კორექტირებების გათვალისწინებით, იხილეთ ასევე შენიშვნა 5.

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
2024 წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლიური (ზარალი)/მოგება		(10,374)	33,135
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		10,072	10,264
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(1,038)	534
წმინდა ფინანსური ზარალი	8	2,878	5,110
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში ზარალის წილი	15	234	1,300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		(347)	-
სასესხო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		(3,046)	1,212
არაფინანსური აქტივების აღდგენა/(ზარალი)		1,231	(16,398)
შეფასების შემცირების ზარალი სხვა აქტივებზე		2,044	-
სხვა საინვესტიციო შემოსავალი	15(b)	(2,056)	(34,124)
ფინანსური აქტივები FVTPL-ზე – სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება		(768)	(333)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურების ზარალი	15	553	-
სხვა არაფულადი ერთეულები		1,552	(1,595)
		935	(895)
ცვლილებები:			
მარაგებში		(7,324)	(1,444)
სავაჭრო მოთხოვნებში და გადახდილ ავანსებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში		39,378	(3,624)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(20,978)	15,086
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		1,908	(1,692)
ანარიცხები		(271)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		13,648	7,431
გადახდილი პროცენტი	21(b)	(2,826)	(3,575)
მიღებული/(გადახდილი) მოგების გადასახადი	9	1,038	(534)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		11,860	3,322
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		4,659	4,523
გაცემული სესხი		(13,674)	-
გაცემული სესხის დაფარვა		211	58
ძირითადი საშუალებების შეძენა და ცვლილებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და სხვა გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებში		(350)	(1,249)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების შეძენა	15	(9,409)	(232)
ვადიანი ანაზრის შემცირება/(განთავსება)		2,755	(16,755)
სხვა ინვესტიციების ზრდა		(187)	(1,959)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული ანაზღაურება	15	10,414	42,383
შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან მიღებული ანაზღაურება		-	2,575
საინვესტიციო ქონებისთვის მიღებული ავანსი		-	535
მიღებული დივიდენდები		-	2,828
(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)/საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,581)	32,707
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	21(b)	(7,122)	(6,397)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(7,122)	(6,397)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(843)	29,632
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	19	67,506	35,528
გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე		1,696	2,346
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	19	68,359	67,506

*შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია კორექტირებების გათვალისწინებით, იხილეთ ასევე შენიშვნა 5.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	14	19. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31
2. აღრიცხვის საფუძველი	17	20. კაპიტალი	32
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	17	21. სესხები და კრედიტები	32
4. შეფასებებისა და პროფესიული გადაწყვეტილებების გამოყენება	17	22. სხვა ვალდებულებები	33
5. წინა პერიოდის უზუსტობების კორექტირება	18	23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
6. შემოსავალი	20	24. მოთხოვნა და ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	34
7. საოპერაციო ხარჯები	22	25. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	36
8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი	22	26. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები	42
9. მოგების გადასახადის ხარჯი	23	27. პირობითი ვალდებულებები	43
10. ძირითადი საშუალებები	24	28. დაკავშირებული მხარეები	44
11. საინვესტიციო ქონება	25	29. შემდგომი მოვლენები	45
12. სხვა ინვესტიციები	26	30. შეფასების საფუძველი	45
13. არამატერიალური აქტივები	26	31. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	45
14. სასესხო მოთხოვნები	26	32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	61
15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	27		
16. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	30		
17. მარაგები	31		
18. ვადიანი ანაზრები	31		

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

გლობალური და რეგიონული ფაქტორების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა 2024 წელს 9.4%-ით გაიზარდა და ინფლაციის დონემ კი 1.9% შეადგინა. მშპ-ს რეალური ზრდა ძირითადად განპირობებულია გაზრდილი ექსპორტით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით და ფულადი გზავნილების დაჩქარებით, რაც დაკავშირებულია მიგრანტებისა და ტურისტების შემოდინებასთან. ქართული ლარის კურსმა სტაბილურობა შეინარჩუნა და აშშ დოლართან მიმართებაში 4.37%-ით გამყარდა (2023: 9.87%). წყაროები: www.geostat.ge; www.nbg.gov.ge.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიმდინარე შეფასებისგან.

(b) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) (შემდგომში „ფონდი“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მდებარეობს საქართველოში. რეორგანიზაციის შედეგად, სს „საპარტნიორო ფონდმა“ შეიცვალა სახელწოდება და გახდა სს „საქართველოს განვითარების ფონდი“.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად „ჯგუფი“, ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“) ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე ჯგუფის წილს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააქციო საზოგადოებას და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 1(c) და 26.

ფონდი დაფუძნდა 2011 წლის 28 ივნისს, როგორც მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმო „სს საქართველოს განვითარების ფონდის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. ფონდი წარმოადგენს საჯარო სექტორში მოქმედ სპეციალიზირებულ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ; მის მმართველობით ორგანოებს წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო. ის შეიქმნა საქართველოს ეკონომიკაში ნაკლებ განვითარებულ მრეწველობებში ინვესტიციების ხელშეწყობის და ქვეყანაში ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით.

ფონდის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კაპიტალისა და სესხის სახით დაფინანსებას, საქართველოში მოქმედი კერძო და საჯარო სექტორის კომპანიებისთვის, პრიორიტეტით ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და უძრავი ქონების სექტორებში განხორციელებულ პროექტებზე. თუმცა, ფონდის რეორგანიზაციის შედეგად, რომელიც 2023 წლის სექტემბერში დასრულდა, ძირითადი საქმიანობის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს ინოვაციურ წარმოებასა და სტარტაპებს, მაღალტექნოლოგიურ და ეკომეგობრულ

წარმოებას, ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებს, ასევე ადგილობრივ წარმოებას მაღალი იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალით და სხვა მიმართულებებს. ამჟამად, ფონდი აწვდის ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა წილობრივი მონაწილეობა, უპირატესი სესხი, სუბორდინირებული სესხი, მეზანიზის ტიპის დაფინანსება, სინდიცირებული სესხი და გარანტიები.

2022 წლის ბოლომდე, ჯგუფის საწარმოების ძირითადი საქმიანობები იყო გაზის იმპორტი და რეალიზაცია, გაზის და ნავთობის მილსადენების იჯარა, ნავთობის და გაზის მიება და მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ქვეყნის სარკინიგზო სისტემის ფუნქციონირება, ტვირთის და მგზავრების ტრანსპორტირების და გადატანის მომსახურების გაწევის გზით. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიების საკუთრებიდან გასვლის შემდეგ, ჯგუფის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია სტარტ-აპ საწარმოებში ინვესტირებასთან, სტუმარ-მასპინძლობის სექტორთან და კომპოზიტური აეროსტრუქტურული მასალების გაყიდვასთან.

ფონდმა მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებზე კონტროლი მოიპოვა საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 30 ივლისს და 14 აგვისტოს გამოცემული ბრძანებების შემდეგ, რომელთა თანახმადაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 100%-იანი საკუთრების წილი და ყოფილი მეკავშირე საწარმოების - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და სს „საქართველოს რკინიგზის“ დარჩენილი წილი საქართველოს მთავრობამ ფონდის კაპიტალში შეიტანა. თუმცა, 2020 წლის 28 თებერვალს, საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ შეამცირა ფონდის კაპიტალი სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" საკუთრების (100%-იანი წილი) საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). ამასთანავე, 2022 წლის 29 ნოემბერს გამოშვებული გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ კვლავ შეამცირა ფონდის კაპიტალი სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში“ და სს „საქართველოს რკინიგზაში“ მისი 100%-იანი საკუთრების წილის საქართველოს მთავრობისთვის გადაცემის გზით.

ფონდის იურიდიული მისამართია: ვუკოლ ბერიძის ქუჩა №6, 0108, თბილისი, საქართველო. ფონდის რეგისტრაციის ნომერია: #404404550.

ფონდი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაშია, რომელსაც საქართველოს მთავრობა („მშობელი კომპანია“, „მესაკუთრე“) წარმოადგენს. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 28-ე შენიშვნაში.

(c) ჯგუფის სტრუქტურა

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდს პირდაპირი და არაპირდაპირი საკუთრების წილები ჰქონდა შემდეგ ორგანიზაციებში:

სახელი	რეგისტრაციის და აქმიანობის ქვეყანა	2024	2023	ძირითადი საქმიანობა
		საკუთრება/ ხმის უფლება	საკუთრება/ ხმის უფლება	
შპს „პროექტი“	საქართველო	100%	100%	თვითმფრინავებისთვის სათადარიგო ნაწილების წარმოება.
სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“	საქართველო	66%	66%	თვითმფრინავებისთვის სათადარიგო ნაწილების წარმოება.
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „თბილისის ლოგისტიკის ცენტრი“	საქართველო	100%	100%	კვების მომსახურება.

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

		2024	2023	
სახელი	რეგისტრაციის და აქმიანობის ქვეყანა	საკუთრება/ ხმის უფლება	საკუთრება/ ხმის უფლება	ძირითადი საქმიანობა
შპს „საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანია“	საქართველო	100%	100%	ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი.
შპს „საქართველოს პროდუქტი“	საქართველო	100%	100%	ტურიზმის განვითარება.
შპს „საქართველოს შავი ზღვის პორტი“	საქართველო	100%	100%	პორტის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
შპს „ლაგოდეხის სავაჭრო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	ლაგოდეხის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და იჯარით გაცემა.
შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და იჯარით გაცემა.
შპს „სტარტაპ საქართველო“	საქართველო	100%	100%	ვენჩურული კაპიტალი.
შპს „იმერეთი გრინერი“	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა/მეურნეობა.
შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „Caucasus Clean Energy I“	გაერთიანებულ ი სამეფო	8%	8%	საინვესტიციო ფონდი.
შპს „საქართველოს დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანია“	საქართველო	-	100%	საინვესტიციო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციებს საქართველოში რეგიონულ განვითარებაში.
შპს „ლიკანის რეზიდენცია“	საქართველო	100%	100%	რომანოვების სასახლის განახლება ლიკანში.
შპს „გლობალ ბრენდი“	საქართველო	100%	100%	ღვინის ექსპორტი აშშ – ში.
შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების საპარტნიორო კომპანია“	საქართველო	100%	100%	ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტიციების უზრუნველყოფა.
Gazelle Fund LP	კანადა	29.11%	29.11%	საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია წარმოდგენილი საქართველოში და სომხეთში.
შპს „საპარტნიორო ფონდი-მწვანე განვითარება“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარება“	საქართველო	100%	100%	უმრავი ქონების განვითარება.
შპს „ჯინო გრინ სიტი კორპორაცია“	საქართველო	49%	49%	უმრავი ქონების განვითარება.
შპს „ისტ ვესტ ბრიჯი“ და მისი შვილობილი კომპანიები				
შპს „ისტ ვესტ ბრიჯი“	საქართველო	100%	100%	საინვესტიციო ფონდის ფლობა.
შპს „Georgian National Construction Fund Company“	საქართველო	49%	49%	არა-აქტიური კომპანია.
სს "ნენსკრა ჰიდრო"	საქართველო	7.4%	7.4%	სვანეთში (საქართველო) ჰიდროელექტროსადგურის განვითარება, მშენებლობა და ექსპლუატაცია.
შპს „ეკს კავკასიან სუს ჰერიტიუჯ“	საქართველო	49.90%	49.90%	ლორების ფერმა.
სს "ნენსკრა"	საქართველო	100%	100%	ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“	საქართველო	100%	100%	სასტუმროს მშენებლობა და მართვა.
შპს „ბორჯომი ლიკანი“	საქართველო	100%	100%	უმრავი ქონების განვითარება.
შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექს“	საქართველო	10%	10%	არა-აქტიური კომპანია.
შპს „Georgian Natural Products“	ბელარუსია	100%	100%	ღვინისა და სასოფლო სამეურნეო ნაწარმის ექსპორტი.
შპს „აღობილი“	საქართველო	49%	49%	სასტუმროს მშენებლობა და მართვა.
მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის (ააიპ)	საქართველო	33.33%	33.33%	საინვესტიციო კომპანია.

ფონდის ყველა მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანია და ინვესტირების ობიექტი მეკავშირე საწარმო, ქართულ სააქციო საზოგადოებებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს წარმოადგენენ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ფონდის და ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს სამუშაო ვალუტას და შესაბამისად, ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და პროფესიული გადაწყვეტილებების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 15 - გაუფასურების დარიცხვის/გაუფასურების აღდგენის მაჩვენებლების არსებობა კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებისთვის.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 10 - ჯგუფის ძირითადი საშუალებების გაუფასურება.
- შენიშვნა 15 - გაუფასურების დარიცხვის/გაუფასურების აღდგენის მაჩვენებლების არსებობა კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებისთვის.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ჯგუფი ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 25(a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. წინა პერიოდის უზუსტობების კორექტირება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებებში გაასწორა წინა პერიოდის უზუსტობები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და სრულ შემოსავალს. კონკრეტულად, ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში ჩატარდა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტირება, რომლის საფუძველზე ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა 215,118 ლარი. შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების აღდგენა 13,047 ლარის ოდენობით.
- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა დაუმთავრებელი მშენებლობის აღიარება შეწყვიტა ჯამური საბალანსო ღირებულებით 3,428 ლარი, ვინაიდან ვერ მოხერხდა აღნიშნული აქტივის იდენტიფიცირება და არსებობის დადასტურება შესაბამის დოკუმენტაციაზე და ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული აღიარების შეწყვეტა განხორციელდა ფინანსური ანგარიშგებისთვის სანდოობისა და ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით.
- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ჩატარა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტირება, რომლის საფუძველზე აქტივების ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა 132,792 ლარი. შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალის აღდგენა 13,263 ლარის ოდენობით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 13.
- ჯგუფმა მოახდინა ძველი პერიოდის გადასახადების გადაანგარიშება და დაკავშირებული მუხლების კორექტირება.
- ჯგუფმა მოახდინა მიღებულ სესხებზე პროცენტის გადაანგარიშება და დაკავშირებული მუხლების კორექტირება.
- ჯგუფმა მოახდინა არამაკონტროლებელი წილის მფლობელთან არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეკლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად.

წინა პერიოდის კორექტირების ზემოქმედება ფინანსურ ანგარიშგებებზე შემდეგია:

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერი**

‘000 ლარი	ადრე		
31 დეკემბერი 2023	წარდგენილი	ეფექტი	გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებები	110,066	22,726	132,792
არამატერიალური აქტივები	5,076	2,911	7,987
მარაგები	9,017	374	9,391
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	9,126	94	9,220
სავაჭრო მოთხოვნები	3,407	95	3,502
მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები	1,928	(1,160)	768
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	67,503	3	67,506
გაუნაწილებელი მოგება	167,326	16,557	183,883
ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	-	22,964	22,964
არამაკონტროლებელი წილები	(7,931)	(3,672)	(11,603)
სხვა ვალდებულებები	-	10,919	10,919
სესხები და კრედიტები	53,877	(6,674)	47,203
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,604	(15,051)	32,553

**კონსოლიდირებული მოგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

‘000 ლარი	ადრე		
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	წარდგენილი	ეფექტი	გადაანგარიშებული
ოპერაციების გაგრძელება			
შემოსავალი	28,105	(297)	27,808
საოპერაციო ხარჯები	(17,360)	1,283	(16,077)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(13,468)	(157)	(13,625)
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,205)	2,941	(10,264)
სხვა შემოსავალი	2,478	116	2,594
არაფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა	-	16,398	16,398
ფინანსური შემოსავალი	7,902	(43)	7,859
ფინანსური ხარჯი	(10,694)	(2,275)	(12,969)
სხვა სრული შემოსავალი, დაბეგვრის შემდეგ	-	1,558	1,558
წლიური მოგება რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეს	21,970	11,692	33,662
არამაკონტროლებელ წილებს	(6,801)	6,274	(527)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
მესაკუთრეს	21,970	12,720	34,690
არამაკონტროლებელ წილებს	(6,801)	6,804	3

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის გადაანგარიშებას ზეგავლენა არ ჰქონია

ჯგუფის მთლიანი საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური ფულის ნაკადებზე.

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი**

'000 ლარი	ადრე		
31 დეკემბერი 2022	წარდგენილი	ეფექტი	გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებები	118,582	7,930	126,512
არამატერიალური აქტივები	8,473	(1,237)	7,236
მარაგები	7,947	314	8,261
გადახდილი ავანსები და სხვა			
მოკლევადიანი აქტივები	4,476	(1,037)	3,439
სავაჭრო მოთხოვნები	-	96	96
მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები	1,695	(989)	706
ფულადი სახსრები და მათი			
ეკვივალენტები	35,534	(6)	35,528
გაუნაწილებელი მოგება	145,356	4,865	150,221
ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	-	21,936	21,936
არამაკონტროლებელი წილები	(1,130)	(10,476)	(11,606)
სხვა ვალდებულებები	-	10,970	10,970
სესხები და კრედიტები	57,059	(6,696)	50,363
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,181	(15,528)	16,653

6. შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
შემოსავალი სტუმარ-მასპინძლობის მომსახურებიდან		
ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	8,109	7,517
საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	5,941	5,507
სპა და ჯანმრთელობა	1,159	1,074
სხვა შემოსავალი	128	119
სულ შემოსავალი სტუმარ-მასპინძლობის მომსახურებიდან	15,337	14,217
კომპოზიტიური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვები	25,539	12,059
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული		
ხელშეკრულებებიდან	505	1,532
სულ შემოსავალი	41,381	27,808

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

შემდეგი ცხრილში მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, მთავარი შემოსავლის წყაროებისა და შემოსავლის აღიარების დროის მიხედვით.

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	შემოსავალი		კომპოზიტიური		სხვა შემოსავალი		სულ	
	სტუმარმასპინძლის	ომის	აეროსტრუქტურის	ნაწილების	მომხმარებლებთან	გაფორმებული	აქტივების	გაყიდვები
'000 ლარი	მომსახურებიდან							
პირითადი გეოგრაფიული	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024	2023
ბაზრები	15,337	14,217	-	-	505	1,010	41,381	27,286
ადგილობრივი	-	-	25,539	12,059	-	522	-	522
უცხოური	15,337	14,217	25,539	12,059	505	1,532	41,381	27,808
სულ								

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,797	3,501
სახელშეკრულებო ვალდებულებები	19,943	11,560

სახელშეკრულებო ვალდებულებები პირითადად დაკავშირებულია მომხმარებლებისგან სტუმარ-მასპინძლობის მომსახურებისთვის ავანსად მიღებულ ანაზღაურებასა და კომპოზიტიური აერო-სტრუქტურების ნაწილების გაყიდვასთან. 8,383 ათასი ლარის ოდენობით თანხა პერიოდის დასაწყისში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებებში, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის აღიარებულ იქნა, როგორც შემოსავალი.

(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, მომხმარებლებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის მომენტში.

შემოსავალი სტუმართმოყვარეობის მომსახურებიდან

სასტუმროს ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი - შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის დასადგენად დასრულების ეტაპი ფასდება სტუმრების მიერ სასტუმროში გატარებული სრული ღამეების რაოდენობის მიხედვით.

საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი - შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ის გადასცემს კონტროლს დროის გარკვეულ მომენტში - საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, და გარკვეული დროის განმავლობაში - მომსახურების გაწევის შემთხვევაში, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღ-ს გამოკლებით.

სპა და ჯანმრთელობა - შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის დასრულების ეტაპი ფასდება დასრულებული სამუშაოების მიხედვით, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღ-ს გამოკლებით.

სხვა შემოსავალი - შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის დასრულების ეტაპი ფასდება

დასრულებული სამუშაოების მიხედვით, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღგ-ს გამოკლებით.

კომპოზიტიური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვები - კომპოზიტიური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც გაყიდვა განხორციელებულია და საქონელზე კონტროლი გადაცემულია. შემოსავალი აღიარდება, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, ანუ დროის იმ მომენტში როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა მომხმარებელს - როგორც წესი საქონლის მიწოდებისას.

სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - სხვა შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც გაყიდვა განხორციელებულია და საქონელზე კონტროლი გადაცემულია. შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც მყიდველი ჩაიბარებს საქონელს ჯგუფის საწყობში.

7. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
მარაგების მოხმარება წარმოებაში	15,210	7,246
კომუნალური ხარჯები	2,460	2,299
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2,055	2,033
პროფესიული მომსახურების ხარჯები*	990	801
მივლინების ხარჯი	792	288
უსაფრთხოების ხარჯი	509	408
საბანკო საკომისიოები	475	649
ტრანსპორტირების ხარჯი	447	165
ოფისის ხარჯი	264	153
მოვლა-შენახვის ხარჯები	224	194
დაზღვევის ხარჯი	159	122
საკომუნიკაციო მომსახურება	146	111
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	80	102
სასტუმროს ჯავშნის მომსახურება	18	348
სხვა ხარჯი	2,117	1,158
	25,946	16,077

2024 წლისთვის პროფესიული მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 367 ათასი ლარის ოდენობით (2023: 335 ათასი ლარი).

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

'000 ლარი	2024	2023
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის		
მეთოდის მიხედვით	6,632	2,285
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა		
შემოსულობა	1,077	5,574
ფინანსური შემოსავალი	7,709	7,859

'000 ლარი	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით	(10,587)	(11,797)
მოდულირებით განპირობებული ზარალი ფინანსურ ინსტრუმენტებზე	-	(642)
ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით განპირობებული ზარალი	-	(530)
ფინანსური ხარჯები	(10,587)	(12,969)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი	(2,878)	(5,110)

ჯგუფის განაწილება საპროცენტო სიხშირის რისკზე და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე წარმოდგენილია შენიშვნა 25-ში.

9. მოგების გადასახადის ხარჯი

ჯგუფში მოგების გადასახადის ხარჯი წარმოიქმნება უცხოურ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად, რაც თანხვედრაშია საქართველოს საგადასახადო კოდექსთან. შესაბამისად, როდესაც ხდება გადასახადის გადახდა, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც ჯგუფი ინვესტირებული კომპანიიდან იღებს კაპიტალის განაწილებას ან დივიდენდებს, ჯგუფს აქვს უფლება გააკეთოს პროპორციული აღდგენა იმ მოგების გადასახადის რომელიც ადრე იყო გადახდილი. ასეთი აღდგენა ამცირებს მოგების გადასახადის ხარჯს კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა აღდგენის უფლება.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფმა აღრიცხა მოგების გადასახადის ხარჯის აღდგენა 1,038 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფმა აღიარა მოგების გადასახადის ხარჯი 534 ათასი ლარის ოდენობით.

10. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწები, შენობა- ნაგებობები	ტრანსპორტი, მანქანა- დანადგარები, აღჭურვილობა და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება ან დასაშვები საწყისი ღირებულება				
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს				
ადრე წარდგენილი	77,247	98,356	4,261	179,864
გადაანგარიშება	13,047	-	(4,261)	8,786
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს,				
გადაანგარიშებული	90,294	98,356	-	188,650
დამატებები	70	1,179	-	1,249
ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	(192)	(357)	-	(549)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	90,172	99,178	-	189,350
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით	90,172	99,178	-	189,350
დამატებები	176	598	-	774
გასვლა	-	(35)	-	(35)
ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	1,787	3,337	-	5,124
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	92,135	103,078	-	195,213
ცვეთა და გაუფასურების ზარალი				
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს				
ადრე წარდგენილი	14,854	45,595	833	61,282
გადაანგარიშება	-	-	(833)	(833)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს,				
გადაანგარიშებული	14,854	45,595	-	60,449
წლის ამორტიზაცია	1,531	8,234	-	9,765
აქტივის ფასის შემცირების აღდგენა	(6,562)	(6,701)	-	(13,263)
ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	(187)	(206)	-	(393)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	9,636	46,922	-	56,558
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	9,636	46,922	-	56,558
წლის ცვეთა	2,188	3,842	-	6,030
ფასის შემცირება	949	282	-	1,231
ვალუტის გადაყვანის ეფექტი	268	1,432	-	1,700
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	13,041	52,478	-	65,519
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	80,536	52,256	-	132,792
2024 წლის 31 დეკემბერს	79,094	50,600	-	129,694

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ბასს 36-ის მიხედვით გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები (გარე და შიდა) და დაასკვნა რომ არ არსებობს დამატებით გაუფასურების ან ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენის ნიშნები.

უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები და სხვა ერთეულები), რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 123,169 ათას ლარს (2023: 98, 397 ათასი ლარი), დატვირთულია იპოთეკითა და გირავნობით ადგილობრივი ქართული ბანკებისგან აღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველსაყოფად (იხილეთ 21-ე შენიშვნა).

11. საინვესტიციო ქონება

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	62,221	64,662
შესყიდვები	64	-
წლის ცვეთა	(78)	(83)
ტრანსფერი	88	-
გასვლები	-	(2,358)
ნაშთი 31 დეკემბერს	62,295	62,221

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონებას შეადგენს მიწის ნაკვეთები, შენობები და დაუსრულებელი ქონება, რომელიც არის მფლობელობაში განუსაზღვრელი სამომავლო გამოყენებისთვის.

(a) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი გარე შემფასებლების მიერ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და მიმდინარე გამოცდილება შეფასებული ქონების მდებარეობისა და კატეგორიის მიხედვით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 159,060 ათასი ლარის და 62,635 ათასი ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად. შეფასება კლასიფიცირებულია, როგორც მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება, გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მიწის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოყენებული შეფასების მეთოდები, ასევე გამოყენებული არსებითი არაპირდაპირად აღქმადი მონაცემები.

ქონება	შეფასების ტექნიკა
საქართველოში ი მდებარე მიწა და შენობები.	სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა მოხდა მსგავსი ქონებების (მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში) გამოცხადებულ მოთხოვნილ ფასებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს მიწისა და შენობების მახასიათებლებში, როგორიც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და მოლაპარაკებების გზით მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც ხელმძღვანელობამ გამოიყენა 0%-დან 35%-მდე კორექტირებები დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იქნა გამოვლენილი დამატებითი ფასის შემცირების ან წინა პერიოდში აღიარებული ფასის შემცირების ზარალის დაბრუნების ნიშნები.

12. სხვა ინვესტიციები

სხვა ინვესტიციები მოიცავს წილს „Caucasus Clean Energy I“-ში, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა, რომელიც რეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში. აღნიშნული ინვესტიცია წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ინსტრუმენტი	13,560	12,603
სხვა ინვესტიციების ჯამი	13,560	12,603

13. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	2024	2023
არამატერიალური აქტივები	4,224	7,987
	4,224	7,987

2015 წლის ივლისში, ჯგუფმა გადაუხადა 15,000 ათასი აშშ დოლარი შპს „Elbit Systems – Cyclone“-ს, როგორც ერთჯერადი წინასწარ გადახდილი ლიცენზიის/ნოუ-ჰაუს საკომისიო, როგორც ამას ითვალისწინებს დასრულებული ობიექტის ჩაბარების („Turn-Key“) ხელშეკრულება. ლიცენზია დაკავშირებული შპს „Elbit System – Cyclone“-ის მიერ სამშენებლო და წარმოების ეტაპზე ნოუ-ჰაუს გაზიარებასთან და ამორტიზებულია 10 წლის განმავლობაში მიღებული სარგებლის ასახვის მიზნით.

14. სასესხო მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
სასესხო მოთხოვნა მესამე პირის მიმართ	13,406	581
სულ გრძელვადიანი	13,406	581
მოკლევადიანი აქტივები		
მოკლევადიანი სესხის მოთხოვნები მესამე პირის მიმართ	6,382	1,757
სულ მოკლევადიანი	6,382	1,757
	19,788	2,338

გაცემული სესხების პირობები და განრიგები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ნომინალური საპროცენტო დაფარვის წელი			31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
				ნომინალური ღირებულებ	ნომინალური საბალანსო ღირებულებ	ნომინალური ღირებულებ	ნომინალური საბალანსო ღირებულებ
	ვალუტა	განაკვეთი	ს წელი	ღირებულებ	ღირებულებ	ღირებულებ	ღირებულებ
არაუზრუნველყოფილი სესხები:							
უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხი მესამე პირის მიმართ	USD	11%	2027	7,200	5,537	6,921	2,338
უზრუნველყოფილი სესხები:							
უზრუნველყოფილი სესხი გაცემული მესამე პირის მიმართ	USD	8.69%+6M SOFR	2031	14,251	14,251	-	-
სულ სესხები, რომლებიც უნდა დაბრუნდეს				21,451	19,788	6,921	2,338

ჯგუფის საკრედიტო და სავალუტო რისკებთან დაკავშირებული გავლენა, აგრეთვე სასესხო მოთხოვნებთან დაკავშირებული ღირებულების შემცირების ზარალები გაშლილად არის წარმოდგენილი შენიშვნაში 25(c).

15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	11,016	20,010
შენატანები სააქციო კაპიტალში	9,409	232
კაპიტალის განაწილება	(6,071)	-
ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოებში		
განხორციელებულ ინვესტიციებზე (მოგების გადასახადის		
გამოკლებით) აღიარებული მოგებაში ან ზარალში	(234)	(1,300)
გაუფასურების ზარალი	(553)	-
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების		
გასვლა	-	(7,926)
ნაშთი 31 დეკემბერს	13,567	11,016

ჯგუფის არცერთი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში არ წარმოადგენს საჯარო საწარმოს და შესაბამისად, ისინი არ აქვეყნებენ ფასების კოტირებას.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების მოძრაობა 2024 წლის განმავლობაში.

‘000 ლარი	საკუთრ		ბიზნეს საქმიანობა	ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენატანები	კაპიტალში აღრიცხული ინვესტიციების მიმღები პირების ზარალის წილი	გაუფასურება	კაპიტალის განაწილება	ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ეზა 2024	ეზა 2023							
კომპანია									
სს „ნენსკრა ჰიდრო“	7.38%	7.38%	ჰიდროელექტროსადგურის განვითარება, მშენებლობა და ექსპლუატაცია სვანეთში, საქართველო	-	-	-	-	-	-
Gazzele Fund LP	29.11%	29.11%	საერთაშორისო ინვესტიცია კომპანია წარმოდგენილია საქართველოში	10,347	-	(79)	-	(6,071)	4,197
შპს „კსკ კავკასიან სუს ჰერიტივიჯ“	49.9%	49.9%	ღორების ფერმა	669	-	(116)	(553)	-	-
შპს „აღობილი“	49%	49%	სასტუმრო აბასთუმანში	-	9,409	(39)	-	-	9,370
				11,016	9,409	(234)	(553)	(6,071)	13,567

მიუხედავად იმისა, რომ ფონდი სს „ნენსკრა ჰიდროს“ (საწარმო) ხმის მიცემის უფლების 20%-ზე ნაკლებს ფლობდა, ფონდის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწარმოს მმართველ ორგანოზე არსებითი წარმომადგენლობის გამო (საწარმოს საზედამხედველო საბჭო 6 წევრისგან შედგება, საიდანაც ოთხი K-water-ის მიერ და ორი წევრი ფონდის მიერ არის დანიშნული), ფონდს ჰქონდა უფლება საწარმოს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკების შესახებ გადაწყვეტილებებში მიეღო მონაწილეობა და შესაბამისად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰქონდა უნარი მოეხდინა არსებითი ზეგავლენა საწარმოზე.

(a) ინვესტიციის ღირებულების შემცირება Nenskra Hydro JSC-ში

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ფონდი აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომ სს „ნენსკრა ჰიდროში“ განხორციელებული ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე დაბალია ან რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება.

2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა სს „ნენსკრა ჰიდროს“ დაახლოებით 13%-ით შემცირებინა ელექტროენერგიის ტარიფი იმ ტარიფთან შედარებით, რომელიც იყო ყველაზე დიდი და რომელიც ფონდმა გაითვალისწინა საბაზისო მოვლენათა განვითარებისთვის (2015 წლის 31 აგვისტოს დადებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში განსაზღვრულის შესაბამისად (კორექტირებული და გადაანგარიშებული 2017 წელს). ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებამ არსებითი უარყოფითი გავლენა იქონია პროექტის მომგებიანობაზე და ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს უკანასკნელი გაუფასურების ინდიკატორს წარმოადგენდა. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ფონდმა გაუფასურებაზე ტესტირება ჩაატარა. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დაფუძნებული იყო მის გამოყენების ღირებულებაზე, რაც შეადგენდა უარყოფით 60,845 ათას ლარს (22,500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური), რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ჰესის მიერ გენერირებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯები დაახლოებით ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის მოსალოდნელი, რომ არსებული აქტივები (რაც ძირითადად პროექტზე მიკუთვნებად დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებულ ხარჯებს წარმოადგენს), ცალ-ცალკე ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან ერთად, შექმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ის მოვლენები და გარემოებები, რომლებმაც გაუფასურების აღიარება გამოიწვია, ძირითადად ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას და გენერირების პირველი პერიოდის გადადებას უკავშირდება, როგორც აღნიშნულია „დამატებითი ხელშეკრულების“ პირობებში, რომლებიც 2022 წელს იქნა შეთანხმებული.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- ხდება გადასახადების შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირება 54-წლიანსაპროგნოზო პერიოდისთვის და კეთდება დაშვება, რომ ჰესი თავის საქმიანობას 2028 წლის ივლისში დაიწყებს.
- ელექტროენერგიის წარმოების პროგნოზები დაფუძნებული იყო სს „ნენსკრა ჰიდროს“ ტექნიკური მრჩეველის მიერ მომზადებულ ტექნიკურ ანგარიშებზე, რომლებშიც მითითებული იყო ჯამური თვიური წარმოება და ჯამური თვიური ზარალები;
- პროგნოზირებული საწყისი ელექტროენერგიის ტარიფი ტოლი იყო ელექტროენერგიის ახალი ტარიფისა, რომელზეც მოლაპარაკებები წარმოებდა საქართველოს მთავრობასთან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (და რომელიც მოგვიანებით, 2023 წლის მაისში, ფორმალურად იქნა შეთანხმებული „დამატებითი ხელშეკრულების“ საშუალებით). გაუფასურების მოდელი ვარაუდობს წლიური ზრდის 3%-იან განაკვეთს, პირველი სრული გენერირების პერიოდიდან 15 წლის განმავლობაში;
- გადასახადების შემდეგ დისკონტირების 8.88%-იანი განაკვეთი გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულადი ნაკადების მოთხოვნილ ამონაგების განაკვეთს მსგავს მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების ინვესტირებულ კაპიტალზე და აშშ დოლარშია დენომინირებული. სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 26

- კაპიტალური დანახარჯები წარმოადგენს დამატებით კაპიტალურ დანახარჯებს 2023 2028 წლებში, ხოლო ტექნიკური მომსახურების კაპიტალური დანახარჯები ხარჯად აღიარდება მთლიანი საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში, და ძირითადი კაპიტალური დანახარჯები კაპიტალიზირდება 2053 წელს. გარდა ამისა, დამატებითი ძირითადი კაპიტალური დანახარჯები ტერმინალურ პერიოდში მიჩნეულია, როგორც ტერმინალური ღირებულების კორექტირება; და
- ტერმინალური ზრდის განაკვეთი 2%-ით შეფასდა.

ძირითადი დაშვებები, რომელთა მიმართაც გაუფასურების ანალიზი არის ყველაზე მგრძნობიარე, არის:

- დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთის 1.2%-იანი შემცირება, ანაზღაურებადი ღირებულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებასთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.
- ტარიფი - გადახდილი ელექტროენერგიის ტარიფის 22%-იანი ზრდა, ანაზღაურებადი ღირებულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებასთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაანალიზა გაუფასურების აღდგენის მაჩვენებლები (გარე და შიდა) და დაასკვნა, რომ არ არსებობს ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ნიშნები.

(b) გარდაბნის თბოსადგურის წილის გაყიდვა

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრისა და 7 დეკემბრის გადაწყვეტილებების საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ („GOGC JSC“) დაევა შპს „გარდაბნის თბოსადგურში“ ფონდიდან დარჩენილი 49.092% წილის შეძენა. ფონდის წილის შესყიდვის ღირებულება შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ შეფასების ანგარიშზე იყო დაფუძნებული, რომელიც წილების სამართლიან ღირებულებას ასახავდა. 49.092% წილის შეძენა, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 43,259 ათას ევროს, განხორციელდა შემდეგი ფორმით: 17,000 ათას ევროს, რაც შეადგენდა 19.292%-ს, გადაიხადა GOGC JSC-მა. GOGC JSC-ის მიერ ფონდისთვის გაცემული 7,123 ათასი ევროს ოდენობის სესხი გადაიფარა 8.084%-იანი წილის ღირებულების სახით. დარჩენილი 19,136 ათასი ევროს გადახდა უნდა განხორციელებულიყო GOGC JSC-ის მიერ, როდესაც GOGC JSC გაყიდდა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“. 2023 წელს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ არ გაიყიდა, ამიტომ 2024 წლის იანვარში GOGC JSC-მა ფონდს დაუბრუნა 21.716%-იანი წილი შპს „გარდაბნის თბოსადგურში“.

2024 წლის იანვარში, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წილის მფლობელობა გადაეცა სს „საქართველოს რკინიგზას“ და, სანაცვლოდ, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც შეადგენდა 53,037 ათას ლარს, დაიფარა და ფონდმა მიიღო 4,343 ათასი ლარის სახით თანხა, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრისა და 7 დეკემბრის გადაწყვეტილებების შესაბამისად. შედეგად, 2,056 ათასი ლარის მოგება აღიარებულ იქნა მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა საინვესტიციო შემოსავალი.

16. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	1,600	1,876
სხვა მოთხოვნები	1,391	7,344
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,991	9,220

17. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კომპოზიტური აერო-სტრუქტურების მარაგები	16,496	7,616
სასტუმროს ინვენტარი	1,144	1,246
საცალო მარაგები	110	529
სულ მარაგები	17,750	9,391

კომპოზიტური აერო-სტრუქტურების მარაგები მოიცავს ნედლეულს, საავიაციო ნაწილებს, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში, მიმდინარე სამუშაოებსა და კომპოზიტური ნაწილების დასრულებულ პროდუქციას. სასტუმროს მარაგები მოიცავს მოხმარებად მასალებს და მარაგებს, რომლებიც გამოიყენება სასტუმროს საქმიანობაში, ხოლო საცალო გაყიდვების მარაგები მოიცავს შვილობილი კომპანიის მაღაზიაში გასაყიდად გამიზნული სასაქონლო პროდუქტებს.

18. ვადიანი ანაზრები

'000 ლარი	დეპოზიტარი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სადეპოზიტო სერტიფიკატი	კომერციული ბანკი	GEL	7,000	3,200
დეპოზიტი	კომერციული ბანკი	GEL	5,000	-
სულ მიმდინარე ვადიანი ანაზარი			12,000	3,200
დეპოზიტი	კომერციული ბანკი	GEL	2,000	-
დეპოზიტი	კომერციული ბანკი	USD	-	13,555
სულ გრძელვადიანი ვადიანი ანაზარი			2,000	13,555
ვადიანი ანაზრების ჯამი			14,000	16,755

ანაზრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

19. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	40,792	32,499
მოთხოვნამდე დეპოზიტები	27,567	35,007
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	68,359	67,506

მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს ვადიან ანაზარს ბანკებში ანგარიშგების თარიღიდან 3 თვეზე ნაკლები ვადით, რომლისთვისაც ჯგუფს აქვს ანაზრის შეწყვეტის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნის საშუალებით, არსებითი ჯარიმების გადახდის ან პროცენტის დაკარგვის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაზრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე დეპოზიტს.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 25-ე შენიშვნაში.

20. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ ფონდის კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის ბრძანებით, ფონდის სააქციო კაპიტალი განისაზღვრა 100,000,000 ჩვეულებრივი აქციით ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

2023 წლის 6 აპრილით დათარიღებული აქციონერთა გადაწყვეტილების მიხედვით, ჯგუფის განთავსებული კაპიტალი 250,000 ათასი ლარით განისაზღვრა და გამოცხადდა როგორც „მთლიანად გადახდილი“. ვინაიდან 2022 წლის 31 დეკემბრის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გადახდილი განთავსებული კაპიტალი“ 100,000 ათასი ლარის ოდენობით იყო აღრიცხული და 2023 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა კაპიტალის დამატებითი შენატანები, ჯგუფმა აღიარა 150,000 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნა აქციონერის მიმართ, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

(b) მესაკუთრის განაწილებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მფლობელის ინვესტიციები“ გაიზარდა 126 ათასი ლარით. 2023 წელს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მიწისა და უძრავი ქონების ნაწილობრივ დაბრუნების შესახებ საქართველოს მთავრობას. გადაცემული მიწისა და უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 811 ათას ლარს. შესაბამისად, „მფლობელის ინვესტიციები“ შემცირდა აღნიშნული ოდენობით (იხილეთ შენიშვნა 11).

21. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 25-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	8,507	9,421
დაკავშირებული მხარისგან არაუზრუნველყოფილი სესხები	25,096	-
	33,603	9,421
მიმდინარე ვალდებულებები		
საფინანსო დაწესებულებებიდან უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	19,907	26,162
დაკავშირებული მხარისგან არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	21,041
	19,907	47,203

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები შემდეგია:

				31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
				ნომინალური საპროცენტო დაფარვის წელი	ნომინალური საბალანსო ლირებულ ეზა	ნომინალური საბალანსო ლირებულ ეზა	ნომინალური საბალანსო ლირებულ ეზა
'000 ლარი	ლარი	განაკვეთი	ს წელი				
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან:							
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	USD	Libor+6.0%	2027	25,096	25,096	21,041	21,041
უზრუნველ-ყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან							
უზრუნველ-ყოფილი სესხი საფინანსო დაწესებულებებიდან (ATC)	USD	Libor+6.0%	2027	19,907	19,907	25,096	25,096
უზრუნველ-ყოფილი სესხი საფინანსო დაწესებულებებიდან (BLI)	EUR	5.3%	2034	8,507	8,507	10,487	10,487
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				53,510	53,510	56,624	56,624

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	2024	2023
სესხები და კრედიტები 1 იანვარს	56,624	60,237
სესხების დაფარვა	(7,122)	(6,397)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(7,122)	(6,397)
შვილობილ კომპანიებზე ან სხვა ბიზნეს საქმიანობებზე კონტროლის დაკარგვის შედეგად წარმოშობილი ცვლილებები	-	-
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა საპროცენტო ხარჯი	(7,830)	(69)
გადახდილი პროცენტი	7,990	6,428
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	3,484	(3,575)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	4,008	2,784
სესხები და კრედიტები 31 დეკემბერს	53,510	56,624

22. სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირითადი საშუალებების შემენასთან დაკავშირებული ვალდებულებები	11,396	10,919
	11,396	10,919

ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართაა და ვალდებულების დაფარვა არ არის მოსალოდნელი ანგარიშგების პერიოდიდან ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისად, ის ჯგუფისთვის გრძელვადიან ვალდებულებას წარმოადგენს.

23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა გადასახადი	28,822	20,993
მიღებული ავანსები	19,943	11,560
	48,765	32,553

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე ჯგუფის დაქვემდებარება განხილულია 25-ე შენიშვნაში.

24. მოთხოვნა და ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ

(a) მოთხოვნა ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მისაღები თანხა ყოფილი შვილობილი კომპანიისგან	-	56,934
	-	56,934

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრისა და 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ ფონდისგან შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ დარჩენილი 49.092%-ის შესყიდვა მოეთხოვა. გარდაბნის თბოსადგურში ფონდის წილის შესყიდვის ფასი განისაზღვრა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ შეფასების ანგარიშის საფუძველზე, რომელიც წილების სამართლიან ღირებულებას წარმოადგენდა. 43,259 ათასი ევროს ღირებულების მქონე 49.092%-იანი წილის შეძენა, სტრუქტურირებული იყო შემდეგნაირად: 17 000 ათასი ევრო, რაც წილის 19.292%-ს შეადგენს, იქნა გადახდილი ნაღდი ანგარიშსწორებით სს „სნგ“-ს მიერ. სს „სნგ“-ს მიერ ფონდზე გაცემული 7,123 ათასი ევროს ოდენობით სესხი იქნა ურთიერთგადაფარული წილების 8.084%-ის ფასთან. „სხვა მოთხოვნაში“ შეტანილი დარჩენილი 19,136 ათასი ევრო, უნდა იქნეს გადახდილი სს „სნგ“-ს მიერ, მის მიერ გარდაბნის თბოსადგურის გაყიდვისას. სხვაობა გარდაბნის თბოსადგურში ფონდის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და ანაზღაურებას შორის 2022 წელს აღიარებულ იქნა 40,190 ათასი ლარის ოდენობით „სხვა საინვესტიციო შემოსავლის“ სახით.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია 2023 წლის განმავლობაში არ გაყიდდა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წილების 100%-ს, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წილების 21.716% უნდა დაებრუნებინა სს „საქართველოს განვითარების ფონდისთვის“. სს „სნგ“-მ ვერ შეძლო გარდაბნის თბოსადგურში მისი წილის გაყიდვა 2023 წელს, მაგრამ გარდაბნის თბოსადგურის წილების გადაცემა არ დასრულებულა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 56,934 ათასი ლარის ოდენობით სხვა მოთხოვნა მიახლოებულია შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წილების 21.716% - ის სამართლიან ღირებულებასთან. კომპანიამ „გარდაბნის თბოსადგურში“ განხორციელებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ ფლობილი თბოსადგურის საქმიანობიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების 15.07%-იანი (ლარში) დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებით და მთლიანი ბიზნეს ღირებულების

უმცირესობის და ლიკვიდურობის 22.1 %-იანი დისკონტირების განაკვეთით კორექტირების გზით გამოთვალა (ინვესტიციის 21.716%-ის მისაღებად).

შეფასება „შეფასების მე-3 დონეშია“ შეტანილი. დისკონტირების განაკვეთის 1%-იანი ზრდა ინვესტიციის 21,716%-ის სამართლიან ღირებულებას 2,908 ათასი ლარით შეამცირებს.

2024 წლის იანვარში, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21,716% დაუბრუნდა ფონდს, რის საწარმოოდ გაიქვითა ფონდის მოთხოვნა სს სგნკ-ის მიმართ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრისა და 7 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

(ბ) ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	-	53,037
	-	53,037

2022 წლის 29 ნოემბერს, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ არსებული სესხის პირობები შემდეგნაირად დაკორექტირდა: ვალუტა აშშ დოლარიდან ევროდ შეიცვალა, პროცენტის დარიცხვა იქნა შეჩერებული და მხარეები, სესხის 2023 წელს ფულადი სახსრებით აღდგენაზე შეთანხმდნენ, რომელიც ტოლია სესხის საბალანსო ღირებულების მოდიფიცირების თარიღისთვის, იმ პირობით, რომ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ფონდი მისი „გარდაბნის თბოსადგურის“ 100%-იანი არაპირდაპირი წილის გაყიდვას შეძლებს (ვარიანტი 1). იმ შემთხვევაში, თუ ფონდი ვერ შეძლებს „გარდაბნის თბოსადგურის“ 2023 წელს გაყიდვას, მაშინ იგი ვალდებული იქნება „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716%-ი სს „საქართველოს რკინიგზას“ 2023 წლის 31 დეკემბრიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში გადასცეს (ვარიანტი 2).

ზემოაღნიშნული შეფასდა, როგორც სესხის სახელშეკრულებო პირობების არსებითი მოდიფიცირება 2022 წლის განმავლობაში. შედეგად, 2022 წლის 29 ნოემბერს, ფონდმა შეწყვიტა 49,152 ათასი ლარის ოდენობით დაკავშირებული მხარის სესხის აღიარება და აღიარა 46,723 ათასი ლარის ოდენობით ვალდებულება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ. 2,429 ათასი ლარის ოდენობით სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი სესხის ნაშთსა და აღიარებულ ვალდებულებას შორის პირდაპირ კაპიტალში იქნა აღიარებული.

თავდაპირველი აღიარებისას 2022 წელს, ვალდებულება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ შეფასდა 46,723 ათასი ლარის ოდენობით სხვა ვალდებულების მიმდინარე ღირებულებასა და 53,187 ათასი ლარის ოდენობით „გარდაბნის თბოსადგურის“ 21.716% -იანი წილის სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

2023 წლის 18 იანვარს, კომპანიამ გააფორმა პირობითი ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზა“-სთან, რომლის მიხედვითაც გარდაბნის თბოსადგურის აქციების 21,716%-ის შესყიდვის ფასი 19,135,693 ევროთი განისაზღვრა. გარდა ამისა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თავდაპირველი ხელშეკრულების მე-2 ვარიანტის მატერიალიზების შემთხვევაში, გარდაბნის თბოსადგურის აქციების შესყიდვის ფასი უნდა იქნეს გადახდილი შემდეგნაირად:

- ვალდებულება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული იგივე კონტრაქტზე გარდაბნის თბოსადგურის აქციების 21.716% -ის მიწოდებით.
- 1,492,887 ევრო იქნება მიღებული სს „საქართველოს რკინიგზისგან“, „გარდაბნის თბოსადგურის“ აქციების 21,716%-ის სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ გადაცემიდან 5 დღის განმავლობაში

სნგკ-მ ვერ გაყიდა მისი გარდაბნის თბოსადგურის წილი 2023 წელს, შესაბამისად, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ გაფორმებული პირობითი ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ აღიარა ვალდებულება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ მისი სამართლიანი ღირებულებით. გარდაბნის თბოსადგურის აქციების გადაცემა არ დასრულებულა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფონდმა „გარდაბნის თბოსადგურში“ განხორციელებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ ფლობილი თბოსადგურის საქმიანობიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების 15.07%-იანი (ლარში) (2022 წლის 31 დეკემბერი: 16.55%) დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებით და მთლიანი ბიზნეს ღირებულების უმცირესობის და ლიკვიდურობის 22.1 %-იანი დისკონტირების განაკვეთით კორექტირების გზით შეაფასა (ინვესტიციის 21.716%-ის მისაღებად) (2022 წლის 31 დეკემბერი: 22.1%). შეფასება „შეფასების მე-3 დონეშია“ შეტანილი. მოძრაობა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივში შეადგენს 530 ათას ლარს 2023 წელს და შეტანილია „ფინანსურ ხარჯებში“. შეფასება შედარებით მგრძნობიარეა დისკონტირების განაკვეთის მიმართ; დისკონტირების განაკვეთის 2%-იანი ზრდა სამართლიანი ღირებულების 5.6 მილიონი ლარით შემცირებას გამოიწვევდა.

2024 წლის იანვარში, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ 21,716% დაუბრუნდა ფონდისგან გადაეცა სს „საქართველოს რკინიგზას“ და სანაცვლოდ, გაიქვითა სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ფონდის ვალდებულება 53,037 ათ. ლარის ოდენობით, და ფონდმა მიიღო 4,343 ათ. ლარის თანხა, როგორც განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრისა და 7 დეკემბრის გადაწყვეტილებებით.

25. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშგება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას::

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 25(c));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 25(d));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 25(e)).

რისკის მართვის სტრუქტურა

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობების

და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

ფონდის და ჯგუფის საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებს აკისრიათ მთლიანი პასუხისმგებლობა ჯგუფის საწარმოების რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის საწარმოების რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის საწარმოების წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნებთან, სასესხო მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

(i) საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

	შენიშვნა	საბალანსო თანხა	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
'000 ლარი			
სავაჭრო მოთხოვნები		2,797	3,502
მოთხოვნა ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	24(a)	-	56,934
სასესხო მოთხოვნები		19,788	2,338
ვადიანი ანაზღაურებები		14,000	16,755
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19	68,359	67,506
		104,944	147,035

(ii) სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ჯგუფის მომხმარებელთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ქვეყნის და ინდუსტრიის დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებენ მომხმარებლები.

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით ან კრედიტის გაცემამდე მათი კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, ასევე მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის საშუალებით და ვალის დაუყოვნებელი გადახდის მოთხოვნით, როდესაც ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაქტისთვის დაწესებულ, გარკვეულ ზღვარს უახლოვდება. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი არ არის დაქვემდებარებული მის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ არსებით საკრედიტო

რისკს.

(iii) სასესხო მოთხოვნები

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი არ არის დაქვემდებარებული გაცემულ სესხებთან დაკავშირებულ არსებით საკრედიტო რისკს, რადგან აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის ვადაგადაცილებული 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(iv) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი ანაზრები

ჯგუფი ფლობდა ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და ვადიან ანაზრებს ძირითადად ბანკებში რეიტინგით B ან უფრო მაღალი, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და ვადიან ანაზრებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და ვადიან ანაზრებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(v) მოთხოვნა ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ჰქონდა მოთხოვნა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფონდი არ არის დაქვემდებარებული მოთხოვნასთან დაკავშირებულ არსებით საკრედიტო რისკს. არ არსებობს მინიშნება იმისა, რომ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვერ შეძლებს მისი ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათი დაფარვის ვადის დადგომისას; ამასთანავე, ჯგუფს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინვესტიცია „გარდაბნის თბოსადგურში“. 2024 წლის 31 დეკემბრის, მოთხოვნა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ ნულია.

(d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ჯგუფის ლიკვიდურობის მართვა ასევე მოიცავს სესხების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კოვენანტების მონიტორინგს.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები საანგარიშგებო თარიღისთვის, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენის გამოკლებით: არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

31 დეკემბერი 2024	კონტრაქტით განსაზღვრული ფულადი ნაკადები					
	საბალანსო ღირებულება	სულ:	მოთხოვნის მიხედვით	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
'000 ლარი						
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები*	53,510	64,887	-	8,684	56,203	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	48,765	48,765	-	48,765	-	-
სხვა ვალდებულებები	11,396	11,396	-	-	11,396	-
	113,671	125,048	-	57,449	67,599	-

31 დეკემბერი 2023	კონტრაქტით განსაზღვრული ფულადი ნაკადები					
	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნის მიხედვით	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
'000 ლარი						
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები*	56,624	70,722	-	9,660	54,107	6,955
ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	53,037	53,037	-	53,037	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,553	32,553	-	32,553	-	-
	142,214	156,312	-	95,250	54,107	6,955

* ჯგუფს აქვს უზრუნველყოფილი სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან, რომელთან მიმართებაშიც მან დაარღვია ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, რაც სესხის მოკლევადიან ვალდებულებად რეკლასიფიკაციას იწვევს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფი გამსესხებლისგან უფლებაზე უარის თქმის წერილის მოპოვების პროცესშია, ხელმძღვანელობა მოელის, რომ სესხის დაფარვა სახელმწიფო გრაფიკის მიხედვით განხორციელდება.

(e) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(i) სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამოა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები, შესყიდვები და კრედიტები და ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია და დაკმაყოფილებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

*სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*

'000 GEL	დოლარში- დენომინირე ბული 2024	ევროში- დენომინირე ბული 2024	დოლარში- დენომინირე ბული 2023	ევროში- დენომინირე ბული 2023
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	30,401	538	31,224	546
ვადიანი ანაზრები	14,000	-	13,555	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,136	3,750
მოთხოვნა ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	-	-	-	56,934
სასესხო მოთხოვნები	16,742	-	2,338	-
სესხები და კრედიტები	(44,218)	(9,292)	(46,444)	(10,180)
ვალდებულება ყოფილი შვილობილი კომპანიის მიმართ	-	-	-	(53,037)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(29,048)	-	(32,698)	-
წმინდა დაქვემდებარება	(12,123)	(8,754)	(28,889)	(1,987)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	<u>მოგება ან ზარალი</u>
31 დეკემბერი 2024	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(1,212)
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(875)

'000 ლარი	<u>მოგება ან ზარალი</u>
31 დეკემბერი 2023	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(2,889)
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(199)

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებულ ვალუტებთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე მითითებული ოდენობებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი.

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს ჯგუფი დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას ჯგუფის საწარმოების მმართველი გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფის პროცენტო ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2024	2023
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(53,510)	(56,624)
	(53,510)	(56,624)

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლად-განაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის გაზრდიდა/(შემცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს (გადასახადების გამოკლებით) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
2024		
ცვლად-განაკვეთიანი ინსტრუმენტები	(535)	535
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	(535)	535
2023		
ცვლად-განაკვეთიანი ინსტრუმენტები	(566)	566
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა	(566)	566

(f) კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის პროცესში ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით საქმიანობის გაგრძელების უნარის ხელშეწყობა, აქციონერისთვის ამონაგების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად, ოპტიმალური კაპიტალური სტრუქტურის შენარჩუნება.

ჯგუფი თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან

დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები.

სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკა მოიცავს ძლიერი კაპიტალის ბაზის შენარჩუნებას ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინვესტორის, კრედიტორის და ბაზრის ნდობა და შენარჩუნებულ იქნას ბიზნესის მომავალი განვითარება.

ჯგუფის ვალის კაპიტალთან თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ ვალდებულებები	53,510	56,624
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(68,359)	(67,506)
გამოკლებული: ვადიანი ანაზრები	(14,000)	(16,755)
წმინდა ვალი	(27,179)	(27,637)
 სულ კაპიტალი	 384,810	 389,274
ვალის კაპიტალთან თანაფარდობა	-0.07	-0.07

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში ჯგუფის მიდგომის ცვლილებას.

არც ფონდი და არც მისი შვილობილი კომპანიები არ არიან დაქვემდებარებული გარედან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

26. მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიები

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ჯივლონი)“ დაარსდა საქართველოში, 2015 წლის მარტში, სს „საპარტნიორო ფონდის“, შპს „პროექტის“ (ჯგუფის 100%-იანი მესაკუთრე) და შპს „Elbit Systems - Cyclone“-ის მიერ, 33.33%-იანი, 33.33%-იანი და 33.34%-იანი წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად. მხარეები შეთანხმდნენ შვილობილი კომპანიის დარეგისტრირებაზე 60,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ავტორიზებული სააქციო კაპიტალით.

აქციონერთა ხელშეკრულების თანახმად, კონკრეტული გადაწყვეტილებებისთვის საჭიროა ერთპიროვნული შეთანხმება. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ჯგუფი აკონტროლებს შვილობილ კომპანიას, რადგან ის ექვემდებარება (აქვს უფლება) ცვალებად ამონაგებს შვილობილ კომპანიაში მისი ჩართულობიდან და მას შესწევს უნარი გავლენა იქონიოს ამგვარ ამონაგებზე, შვილობილ კომპანიაზე მისი უფლებამოსილების გამოყენების გზით. დასკვნა ეფუძნება საკუთრების წილის პროცენტულ მაჩვენებელს და შვილობილი კომპანიის აქციონერთა ხელშეკრულებაში განსაზღვრული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, რომლებისთვისაც მხოლოდ ხმების უმრავლესობა მოითხოვება.

შვილობილი კომპანია შეიქმნა კომერციული (სამოქალაქო) ბაზრისთვის კომპოზიციური აერო-სტრუქტურის პროდუქტების შემუშავებაში, წარმოებაში, გაყიდვასა და მხარდაჭერაში ჩართულობის მიზნით.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“ („BLI“) - 2018 წლის ივნისში, ჯგუფმა შეიძინა შპს „KMG Service Georgia“-ს 100%-იანი წილი. ამ უკანასკნელს ჰქონდა წილი სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“-ში. სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალ“ დაარსდა სს „საპარტნიორო ფონდის“ და „KMG Group“-ის მიერ (წარმოდგენილი „Kazmunaygas Service LLP“-სა და შპს „KMG Service Georgia“-ს მიერ), ლიკანის

კურორტზე მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობის მიზნით სასტუმრო 2015 წელს გაიხსნა. შესყიდვამდე, ჯგუფი სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნიშენალ“-ის 50%-ს ფლობდა.

27. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, ბიზნესის გამართულად მუშაობის, ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება ჯგუფის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ ჯგუფი არ მოიპოვებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, იარსებებს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების განადგურებას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციაზე.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ფონდი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ვალდებულების მაქსიმალური ოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი სამართლებრივი ქმედებების ან საჩივრების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფისეული“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(d) ეკოლოგიური საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესშია და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. „ჯგუფი“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებებს. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. შეუძლებელია იმ პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ არსებულ რეგულაციებში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ან კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებით, თუმცა მათ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეთ. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ ვითარებაში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

28. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი იმყოფება საქართველოს მთავრობის 100%-იან საკუთრებაში.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების კატეგორიაში.

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	2,038	1,818

(c) ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

ჯგუფი აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ გამოწვევის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ოპერაციები საქართველოს მთავრობის კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან და ამგვარი ოპერაციების ნაშთები განხილულია ქვემოთ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა სხვა შემოსავლისა და ხარჯების აგრეგირებული ოდენობები და მთავრობასთან დაკავშირებული საწარმოების დაკავშირებული ნაშთები საანგარიშგებო თარიღებისთვის არ არის არსებითი. გარიგებები აქციონერთან წარმოდგენილია შენიშვნაში 20.

(i) შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის	
	2024	2023	2024	2023
არამაკონტროლებელი წილი: კომპოზიტური აეროსტრუქტურის ნაწილების გაყიდვები	25,606	12,059	-	-

(ii) ხარჯები

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის	
	2024	2023	2024	2023
არამაკონტროლებელი წილი: კომპოზიტური მასალები	4,607	6,086	29,048	36,078

(iii) სესხები

’000 ლარი	საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2024	2023	2024	2023
სესხები და კრედიტები::				
არამაკონტროლებელი წილი	2,919	2,835	25,096	21,041

შენიშვნა 21(ა) მოცემულია ანგარიშგება დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთებისა და ვადების შესახებ.

29. შემდგომი მოვლენები

2022 წლის 29 ივნისის პარტნიორთა შეთანხმების („PA“) მიხედვით, ფონდსა და შპს „აღობილში“ (საწარმო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში „Hilton“-ის ბრენდის სასტუმროს მშენებლობაზე) მაკონტროლებელი წილის მფლობელს მიენიჭათ სპეციალური შესყიდვის („Call“) და გაყიდვის („Put“) ოფციონები შპს „აღობილის“ არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებით. ორივე ოფციონის ფასი განსაზღვრული იყო PA-ში მხარეების შეთანხმების შესაბამისად, როგორც ზემოაღნიშნულ საწარმოში ფონდის ინვესტიციას დამატებული დარიცხული პროცენტი.

2025 წლის 18 აგვისტოს, PA-ს ფარგლებში, შპს „აღობილის“ მაკონტროლებელი წილის მფლობელმა გამოიყენა დარჩენილი წილი. ფონდმა, რომელიც 49%-იან წილს ფლობდა შპს „აღობილში“, ანაზღაურების სახით მიიღო 4,117 ათასი აშშ დოლარი.

გარდა ზემოაღნიშნულია, არ ფიქსირდება სხვა ისეთი ტრანზაქცია, რომელიც საჭიროებს დამატებით გამჟღავნებას.

30. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მზადდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

31. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან და ჯგუფის ყველა საწარმოსთან მიმართებაში.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს, შესყიდვის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა გაერთიანება მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული

- კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული ამონაგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გარიგების ხარჯები, სესხის გამოშვებასთან და კაპიტალის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით - აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურების ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ანაზღაურება კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მისი გადაფასება არ ხდება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის.

შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელი წილის დეფიციტურ ნაშთს.

(iv) შესყიდვები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისგან

ჯგუფის მაკონტროლებელი აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებში წილების გადაცემიდან წარმოშობილი საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება, ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან. შეძენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც აღიარებულია შეძენილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. შეძენილი საწარმოების კაპიტალები ჯგუფის კაპიტალზე არის დამატებული. შესყიდვამდე წილების გადაფასება არ ხდება. შესყიდვისთვის გადახდილი ნებისმიერი ფულადი სახსრები პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

(v) კონტროლის დაკარგვა

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების და ვალდებულებების აღიარებას, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი ნამეტი ან დეფიციტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ ჯგუფი ინარჩუნებს რაიმე წილს წინა შვილობილ კომპანიაში, მაშინ მსგავსი წილი ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის. შემდგომ, იგი აღირიცხება როგორც "ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში" ან "გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი" - შენარჩუნებული გავლენის დონის მიხედვით.

(vi) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში (კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები)

ჯგუფის წილები ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში მოიცავს წილებს მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენს საწარმოებს, რომლებშიც „ჯგუფს“ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არ ახორციელებს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს, როდესაც „ჯგუფი“ ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას სხვა საწარმოში. ერთობლივი საწარმო არის გარიგება, რომელშიც ჯგუფს აქვს ერთობლივი კონტროლი, რომლის თანახმადაც ჯგუფს აქვს უფლებები გარიგების წმინდა აქტივებზე და არა უფლებები მის აქტივებზე და ვალდებულებები მისი ვალდებულებებისთვის.

მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში წილები აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და ისინი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით ან ინვესტირებული საწარმოს ჯგუფის კუთვნილი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით, რომელიც აღიარებულია მეკავშირე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში მისი შემენის თარიღისთვის, თუ ამგვარი შემენა მომდინარეობს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოდან. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს გარიგების ღირებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის წილს მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების მიზნით კორექტირებების განხორციელების შემდეგ, იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან საერთო კონტროლი, ამ უკანასკნელის დასრულებამდე.

როდესაც ჯგუფის ზარალის წილი აჭარბებს მის წილს წილობრივი მეთოდით აღრიცხულ საწარმოებში, აღნიშნული წილის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერი გრძელვადიანი ინვესტიციების ჩათვლით, შემცირებულია ნულამდე, და შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფს აქვს ვალდებულება ან აქვს განხორციელებული გადახდები ინვესტიციის ობიექტის სახელით.

(vii) ერთობლივი ოპერაციები

ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს თითოეული საწარმოს მიერ განხორციელებულ შეთანხმებას, ერთობლივი ოპერაციების განსახორციელებლად მისი საკუთარი აქტივების გამოყენებით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს აქტივებს, რომლებსაც აკონტროლებს ჯგუფი და ვალდებულებებს, რომლებსაც ის კისრულობს ერთობლივი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე ხარჯებს, რომლებსაც გასწევს ჯგუფი და მისი შემოსავლის წილს, რომელსაც ის ერთობლივი ოპერაციიდან მიიღებს.

(viii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

შიდა-ჯგუფური ნაშთები და ტრანზაქციები, ასევე შიდა-ჯგუფური ოპერაციებისას წარმოქმნილი ნებისმიერი არა-რეალიზებული შემოსავალი და ხარჯები არის ელიმინირებული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. არარეალიზებული ამონაგები, რომელიც წარმოიშვება ინვესტიციებიდან წილობრივი მეთოდით აღრიცხულ საწარმოებში, ელიმინირდება ინვესტიციის საპირწონედ ინვესტირებულ საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად. არარეალიზებული ზარალები ელიმინირდება იგივენაირად როგორც არარეალიზებული ამონაგები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს, რომლის ოპერაციები და ფულადი ნაკადები შეიძლება მკაფიოდ იყოს გამორჩეული ჯგუფის დანარჩენი საქმიანობისგან და რომელიც:

- წარმოადგენს ბიზნესის ინდივიდუალურ ძირითად ხაზს ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- წარმოადგენს ბიზნესის ინდივიდუალური ძირითადი ხაზის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გასვლის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილს; ან
- არის შვილობილი კომპანია, რომელიც შემენილია მხოლოდ გადაყიდვის მიზნებისთვის.

შეწყვეტილი ოპერაციის სახით კლასიფიკაცია ხდება გასვლისას ან როდესაც ოპერაცია აკმაყოფილებს გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში კლასიფიცირებულის კრიტერიუმებს (თუ ამ უკანასკნელს უფრო ადრე ჰქონდა ადგილი).

როდესაც ოპერაცია შეწყვეტილი ოპერაციის სახით არის კლასიფიცირებული, შესადარისი კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება არის ხელახლა წარმოდგენილი, იმგვარად თითქოს ოპერაცია იყო შეწყვეტილი შესადარისი პერიოდის დასაწყისიდანვე.

(c) შემოსავალი

ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 6.

(d) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე და სასესხო მოთხოვნებზე;
- კლიენტების მხრიდან გადახდების დაგვიანებისთვის დარიცხული ჯარიმები;
- საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსავალი ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა ან ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველბა მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(e) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(f) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(g) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა ანგარიშდება, როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(h) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება ძირითადად განისაზღვრება „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდის პრინციპის მიხედვით და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გაყიდვის ფასს, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის

დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების გამოცვლის ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდო იქნება, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოედინება, და მისი ღირებულება შესაძლებელია სანდოდ იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ტექნიკური მხარდაჭერის და შეკეთების ხარჯები აღიარდება შემდეგნაირად:

• მოძრავი შემადგენლობა:

- მიმდინარე ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (შეკეთება და გამოუყენებელი ან დაკარგული ნაწილების ჩანაცვლება) აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯები მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.
- მრავალწლიანი კაპიტალური რემონტის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება, როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით;
- აქტივის სასიცოცხლო ვადის ბოლოს განხორციელებული კაპიტალური რემონტი, განახლებებთან ერთად, კაპიტალიზდება მაშინ, როდესაც ახანგრძლივებს შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას.

ფიქსირებული შემადგენლობა:

- მიმდინარე ტექნიკური მომსახურების და შეკეთების ხარჯები (ტექდათვალიერება, ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულებები და ა.შ.) აღიარდება მოგებასა ან ზარალში როგორც საოპერაციო ხარჯი, მათი გაწევისთანავე;
- შრომის, მასალების და სხვა ხარჯები (ლიანდაგების, განძელების და ბალასტების დაგებასთან დაკავშირებული ხარჯები) მრავალწლიანი სამშენებლო ან ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში კაპიტალიზდება თითოეული განხილული კომპონენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ჩანაცვლებით;
- ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აუმჯობესებს აქტივის სამუშაო შესაძლებლობას (გადაადგილების სამუშაო სიჩქარე).

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ

თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- | | |
|---|-------------|
| • შენობა-ნაგებობები | 15-50 წელი; |
| • სარკინიგზო ინფრასტრუქტურა | 13-25 წელი; |
| • გაზის და ნავთობის მილსადენები | 30-35 წელი; |
| • ნავთობის ჭაბურღილები | 4-9 წელი; |
| • ელექტროენერგიის წარმოების ერთეული | 25 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და სხვა | 1-25 წელი. |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(j) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, ღირებულების ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

აღიარება და შეფასება

საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას.

თუ საინვესტიციო ქონების ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემდგომი დანახარჯები

საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ სავარაუდოა, რომ იგი უზრუნველყოფს კომპონენტში განივთებული

მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება. ფასდება ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 15-50 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნებს და სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის

ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალდებულო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ეს ვრცელდება ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივზე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სასესხო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, ვადიან ანაზრებს და მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემდგომი თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არაარსებითია. ვადიანი ანაზარი წარმოადგენს ვადიან ანაზრებს ბანკებში 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით შემდგომი თარიღიდან, მაგრამ რომლისთვისაც ჯგუფს აქვს ცალმხრივი უფლება, რომ გამოიტანოს თანხები რამდენიმე დღის განმავლობაში შეტყობინების გაგზავნიდან მნიშვნელოვანი ჯარიმების გადახდის ან პროცენტის დაკარგვის გარეშე.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირითადი და პროცენტის დაფარვის“ კრიტერიუმთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური

საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში ინიცირებული ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, თუ სესხის ხელშეკრულების პირობები აძლევს ბანკებს ამის უფლებას და „ჯგუფს“ აქვს უფლება დაეთანხმოს გადახდილ საპროცენტო განაკვეთს ან დააბრუნოს სესხი ჯარიმების გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(l) კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

მეკავშირე საწარმოებში და შვილობილ საწარმოებში (რომლებიც ქმნიან ბიზნესს) წილების შენატანის გარდა, მესაკუთრეების არაფულადი შენატანების აღიარება ხდება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, შენატანის განხორციელების თარიღისთვის.

არაფულადი განაწილებების აღიარება ხდება განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით, თუ ამგვარი განაწილებები სცდება ფასიკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) გამოყენების ფარგლებს.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე;

ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსურ აქტივი არის დეფოლტში, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურისაცა იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა; - მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან - ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწრა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია, როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოძინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მიწიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(n) არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ფასდება, როგორც სასრული და განსაზღვრულია 10 წლის ვადით.

(o) დივიდენდები

დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე აისახება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში.

(p) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა ჯგუფს აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადებამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(q) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული

აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. ჯგუფი შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

(r) ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება

კომპანია წინა პერიოდებიდან დაშვებულ არსებით შეცდომებს ასწორებს შეცდომების აღმოჩენის შემდეგ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში შემდეგი გზით: შეცდომის წარმოშობის პერიოდის(პერიოდების) შედარებითი მაჩვენებლების კორექტირებით; ან აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების ხელახლა ჩამოყალიბებით წარმოდგენილი ყველაზე ადრეული შედარებითი პერიოდისთვის, თუ შეცდომა კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს ეხება. ფინანსური ანგარიშგებები, წინა პერიოდების შედარებითი ინფორმაციის ჩათვლით, წარმოდგენილია ისე, თითქოს კორექტირება განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც შეცდომა რეალურად მოხდა. შესაბამისად, წარმოდგენილი თითოეული პერიოდის კორექტირების ოდენობა შედის ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

32. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტი და ცვლილებები, რომლებიც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან

ეს გამოცემა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან და მოიცავს ცვლილებებს ხუთ ანგარიშგების სტანდარტში, გამოცემული შემდეგ თარიღებზე:

ცხრილი და შემდგომი შეჯამებები იძლევა დამატებით ინფორმაციას:

ცხრილი — ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/დამატება	გაცემის დრო	ძალაში შესვლის თარიღი (საკმაოდ ადრე გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვა მითითება არ არსებობს)	შეცვლილ ბუღალტრულ სტანდარტებს / ინტერპრეტაციებ ს
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და არასაწევრ ვალდებულებებზე — ცვლილება IAS 1-ში	20-იანვარ-25	1-იანვარი-24	IAS 1
ლიზინგის ვალდებულება გაყიდვა-და-ლიზინგის გარიგებაში — ცვლილება IFRS 16-ში	22-სექტემბერი	1-იანვარი-24	IFRS 16
არამიმდინარე ვალდებულებები კომერციულ პირობებთან ერთად — ცვლილებები IAS 1-ში	22-სექტემბერი	1-იანვარი-24	IAS 1
მომწოდებლის ფინანსური განლაგებები — ცვლილებები IAS 7-სა და IFRS 7-ში	23-მაისი	1-იანვარი-24	IAS 7, IFRS 7
საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — Pillar Two (სვეტი 2) მოდელის წესები — ცვლილებები IAS 12-ში	23-მაისი	1-იანვარი-23	IAS 12

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალად

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანად განმარტავს IAS 1 „ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა“ სტანდარტში მოცემულ კრიტერიუმს, რომლის მიხედვით ვალდებულება ითვლება გრძელვადიანად, თუ სუბიექტს აქვს უფლება გადავადდეს ვალდებულების დაფარვა მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ.

საიჯარო ვალდებულება

„გაყიდვა და გაქირავების უკან მიბრუნების ფარგლებში, გაქირავების ვალდებულება ცვლილებებს შეიტანს IFRS 16-ში, დამატებით განსაზღვრული იქნება შემდგომი აღრიცხვის მოთხოვნები გაყიდვა და გაქირავების უკან მიბრუნების ტრანზაქციებისთვის.“

„ხანგრძლივი ვალდებულებები გარანტიების პირობით“

„ხანგრძლივი ვალდებულებები გარანტიების პირობით“ აუმჯობესებს IAS 1 „ფინანსური განცხადებების წარდგენა“ სტანდარტს. აღნიშნული ცვლილებები განამტკიცებს იმ ინფორმაციის ხარისხს, რომელსაც საწარმო აწვდის მაშინ, როცა მისი ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლება მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში არის დამოკიდებული გარანტიების დაცვაზე. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების შენიშვნებს აღნიშნული ვალდებულების მიმდინარე თუ გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირების საკითხთან დაკავშირებით.

„მომწოდებელთან ფინანსური შეთანხმებების შეთანხმებები“

მომწოდებელთან ფინანსური შეთანხმებები ასწორებს IAS 7-ს „ნაღდი სახსრების დინებების ანგარიშს“ და ითხოვს საწარმოს დამატებითი განცხადებების მიწოდებას მომწოდებელთან ფინანსური შეთანხმებების შესახებ. ცვლილებები ასევე დაამატებს მომწოდებელთან ფინანსურ შეთანხმებებს, როგორც მაგალითს, IFRS 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განცხადებები“ სითხის რისკის გამომჟღავნების მოთხოვნებში.

„ცვლილებების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებებზე არსებითად არ მოქმედებს.“

„საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე სვეტის მოდელის წესები ცვლის IAS 12 „მოგების გადასახადები“ სტანდარტს. ცვლილებები დროებით გამოწვევს იძლევა მეორე სვეტის მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და განცხადების მოთხოვნებში. ასევე, ცვლილებები ავითარებს მიზნობრივ განცხადებების მოთხოვნებს იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც ეს შეეხება.“

„ცვლილებების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე არსებითად არ არის არსებითი.“

B „ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც ჯერ არ შევა ძალაში“

„ეს გამოცემა არ მოიცავს აღრიცხვის სტანდარტებს, რომლებიც ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ.“

„ამ აღრიცხვის სტანდარტების relevance იარსებებს მაშინაც კი, როდესაც საწარმო არ აპირებს მოთხოვნების ადრეულ შემოღებას. IAS 8-ის 30-ე პუნქტი „აღრიცხვის პოლიტიკა, აღრიცხვის შეფასებების ცვლილებები და შეცდომები“ მოითხოვს საწარმოს გასაჯაროვდეს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ახალი IFRS-ის (აღრიცხვის სტანდარტების) შემოღების შედეგად ფინანსურ ანგარიშგებებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასებისთვის პირველ პერიოდში, როცა ეს სტანდარტები ვრცელდება.“

„საუბრების ცხრილი აჩვენებს ცვლილებებს და აღრიცხვის სტანდარტებს, რომლებსაც აქვთ ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ.“

ცხრილი — ბუღალტრული სტანდარტები და ცვლილებები, გაცემული, მაგრამ ჯერ არამოქმედებული, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			
სტანდარტი / ცვლილება	გაცემისას	ძალაში შესვლის თარიღი (შესაძლებელია სტანდარტის გამოყენება ადრე, თუ სხვაგვარად არ მითითებულია)	შეიცვალა სტანდარტები / ინტერპრეტაციები
გამოცვლის შეუძლებლობა — ცვლილებები IAS 21-ში	23-აგვისტო	1-იანვარი-25	IAS 21, IFRS 1

„გაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“

გამოცვლისუნარიანობის არარსებობა ამატებს ცვლილებებს IAS 21-ის სტანდარტში — „უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები“, რომლის მიხედვით სუბიექტმა აუცილებელია გაატაროს ერთიანი მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გამოცვლადი სხვა ვალუტაში და თუ არა, განსაზღვროს გამოყენებული გაცვლითი კურსი და წარმოადგინოს შესაბამისი განმარტებები.

შესწორება – არასავალდებულო ვალდებულებები შეთანხმებებით (შესწორება IAS 1-ის სტანდარტში)

IAS 1-ის „ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე“ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების გამოქვეყნების შემდეგ, IASB-მ სტანდარტი კიდევ უფრო შეასწორა 2022 წლის ოქტომბერში. თუ სუბიექტის უფლება ვალდებულების გადავადებაზე დაკავშირებულია კონკრეტული პირობების შესრულებით, აღნიშნული პირობები განსაზღვრავენ, არსებობს თუ არა ეს უფლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. თუ სუბიექტს მოთხოვნა აქვს შეასრულოს პირობები ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ან მანამდე, ეს ვრცელდება, ხოლო თუ პირობების შესრულება მოხდება ანგარიშგების პერიოდის შემდეგ, ეს არ ითვლება. ცვლილებები ასევე განმარტავენ „გადახდის“ მნიშვნელობას ვალდებულების მიმდინარე ან გრძელვადიან კლასიფიკაციაში.

სტანდარტები და შესწორებები, სავალდებულოდ ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლის შეუძლებლობა (IAS 21-ის ცვლილება) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მა გამოაცხადა „გაცვლის შეუძლებლობის“ შესახებ ცვლილებები IAS 21 სტანდარტში — „ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტები“ (შემდგომში – ცვლილებები). აღნიშნული ცვლილებები წარმოიშვა IFRS ინტერპრეტაციების კომიტეტის (კომიტეტი) მიერ მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა გაცვლის კურსის განსაზღვრას იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გრძელვადიანი გაცვლის შეუძლებლობა. IAS 21 სტანდარტი ცვლილებებამდე არ აწესებდა მკაფიო მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განისაზღვროს გაცვლის კურსი იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაში, რაც პრაქტიკაში სხვადასხვა მიდგომას იწვევდა. კომიტეტმა IASB-ს შესთავაზა შეემუშავებინა ვიწრო მიმართულების ცვლილებები აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. გრძელვადიანი განხილვების შემდეგ, IASB-მ 2021 წლის აპრილში გამოაქვეყნა ცვლილებების პროექტი, ხოლო საბოლოო ცვლილებები ოფიციალურად გამოქვეყნდა 2023 წლის აგვისტოში. ცვლილებები ადგენს მოთხოვნებს, რომ ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, როდის არის ვალუტა გაცვლადი და როდის არა. ასევე, ცვლილებები ავალდებულებს ორგანიზაციას განსაზღვროს გაცვლის ე.წ. სპოტ კურსი იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაში.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ განიხილება კომპანიას მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მნიშვნელოვან გავლენად.

**სს „საქართველოს განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში
2024 წელი**

ზოგადი ინფორმაცია ფონდის შესახებ

სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (შემდგომში „ფონდი“) არის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია. ის ფუნქციონირებს 2011 წელს დაფუძნებული სს „საპარტნიორო ფონდის“ ბაზაზე, რომელიც ამ სახელწოდებით ფონდის რეფორმირებამდე, 2023 წლის სექტემბრამდე ფუნქციონირებდა.

თავდაპირველად სს „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. კერძოდ, ფონდის კაპიტალის ფორმირება მოხდა შემდეგი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის საფუძველზე:

- სს „საქართველოს რკინიგზა“ - აქციების 100%
- სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - აქციების 100%
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ - აქციების 100%
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - აქციების 100%
- სს „თელასი“ - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 24.52902%

„საქართველოს განვითარების ფონდის“, ყოფილი „საპარტნიორო ფონდის“ რეფორმა განხორციელდა ეტაპობრივად, რის შედეგადაც ზემოაღნიშნული სახელმწიფო საწარმოები, გარდა სს „თელასისა“, გადაეცა სახელმწიფოს პირდაპირ საკუთრებაში. კერძოდ, 2020 წლის აპრილში, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ აქციების 100% და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აქციათა 100% გადაეცა სახელმწიფოს, 2020 წლის სექტემბერში კი სს „თელასის“ აქციების 24.52902% საჯარო აუქციონის მეშვეობით გასხვისდა ადგილობრივ კომპანიაზე. 2022 წლის დეკემბერში სს „საქართველოს რკინიგზის“ აქციების 100% და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აქციების 100% გადაეცა სახელმწიფოს, ხოლო შპს „გარდაბნის თბოსადგურში“ ფონდის კუთვნილი 49.092% წილი გასხვისდა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“.

2023 წლის განმავლობაში ფონდის კანონში შევიდა ცვლილება, დამტკიცდა ახალი წესდება და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. 2023 წლის 10 სექტემბრიდან ფონდმა ახალი საინვესტიციო მანდატით განაგრძო საქმიანობა. აღნიშნული რეფორმის მიზანი იყო, რომ ფონდი მეტად დამოუკიდებელი და ფინანსურად მდგრადი გამხდარიყო თავის საქმიანობაში.

ფონდი არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება და იმართება სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა, დირექტორთა საბჭოს საქმიანობაზე მეთვალყურეობის გაწევაა, რაც ძირითადად მოიცავს აღმასრულებელი დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლებას, წლიური ანგარიშებისა და დირექტორთა საბჭოს წინადადებების განხილვას, მოგების განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და კომპანიის წლიური ბიუჯეტის და კორპორატიული ხედვისა და სტრატეგიის დამტკიცებას.

სამეთვალყურეო საბჭომ, წესდებით გათვალისწინებული ნორმით, დააარსა აუდიტის კომიტეტი, რომელიც თავის დასკვნებსა და რეკომენდაციებს წარუდგენენ სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან მათი დანიშვნა და გათავისუფლება, დაკავებული პოზიციიდან, შეუძლია აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ხდება სამი წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

დავით საგანელიძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე | 2023 წლიდან

მერაბ კაკულია

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე | 2023 წლიდან

ავთანდილ სილაგაძე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი / აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე | 2023 წლიდან

ნანა ადეიშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი / აუდიტის კომიტეტის წევრი | 2023 წლიდან

ვაზილ ჰუდაკი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი / აუდიტის კომიტეტის წევრი | 2023 წლიდან

დირექტორთა საბჭო არის მმართველობითი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე (გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებიც აქციონერისა და სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივას წარმოადგენს). დირექტორთა საბჭო შედგება აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილისგან. დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს, ამასთან აღმასრულებელი დირექტორის და მისი მოადგილის დანიშვნა/გათავისუფლება ასევე თანხმდება აქციონერთან.

დირექტორთა საბჭოს წევრები

ბესიკ ბუგაიანიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი / დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე | 2023 წლიდან

ვახტანგ ჯორბენაძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე / დირექტორთა საბჭოს წევრი | 2023 წლიდან

ფონდისათვის არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებს, დაფინანსების პრინციპებს და წყაროებს, პროექტებში მონაწილეობის ფორმებს, კორპორატიულ მმართველობას და ანგარიშგებას.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც ე.წ. Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე ე.წ. Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით.

ფონდის საინვესტიციო სტრატეგიის მთავარი ამოცანებია:

1. ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და მისი ტრადიციულ სექტორებზე დამოკიდებულების შემცირება;
2. პრიორიტეტულ სექტორებში ადგილობრივი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
3. კერძო სექტორის საწარმოთა გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ჩართვა;
4. საქართველოს რეგიონებში ინდუსტრიული კლასტერების განვითარების მხარდაჭერა.

ფონდის ფინანსური ინსტრუმენტები ემსახურება საქართველოს ფინანსურ ბაზარზე გრძელვადიანი სარისკო (risk capital) და ზრდის კაპიტალის (growth capital) რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდას. საქართველოს ფინანსურ ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შეზღუდულია წვდომა მსგავსი ტიპის ფინანსურ რესურსზე და სწორედ ამ ჩავარდნის შევსებას გეგმავს ფონდი ქვემოთ ჩამოთვლილი ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით.

საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობას ფონდი ახორციელებს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით:

- კაპიტალში მონაწილეობა;
- მეზანინ დაფინანსება;
- სუბორდინირებული სესხი;
- სინდიცირებული სესხი;
- უპირატესი სესხი და
- გარანტია.

თითოეული ფინანსური ინსტრუმენტი მორგებულია კონკრეტულ მიზანზე, როგორცაა საბრუნავი საშუალებების და/ან კაპიტალური ხარჯების დაფინანსება და გააჩნია განსხვავებული პირობები, რისკის დონე და მოთხოვნები უზრუნველყოფის მიმართ.

ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2024 წლის განმავლობაში ფონდის შემოსავლები შემდეგ ძირითად მუხლებს:

- „შემოსავლები“ და „სხვა საინვესტიციო შემოსავალი“ - 43.4 მილიონი ლარი;
- საოპერაციო ზარალი - 8.5 მილიონი ლარი;
- საპროცენტო და სხვა ფინანსური შემოსავალი - 7.7 მლნ ლარი.
- 2024 წლის ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, წმინდა მოგება შეადგენს - 4.6 მლნ ლარს.

შვილობილი საწარმოები

თანდართული სია წარმოადგენს ფონდის შვილობილი კომპანიების არასრულ სიას.

1. სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“

სასტუმრო „ბორჯომი ლიკანი“

ადგილმდებარეობა: ბორჯომი

ცნობილი კურორტის, ბორჯომ-ლიკანის ტერიტორიაზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო და ბალნეოლოგიური ცენტრი აშენდა. „საქართველოს განვითარების ფონდმა“ „ბორჯომი ლიკანის“ 100%-იანი წილი კომპანიის ყაზახი მფლობელებისგან 2018 წლის



ივნისში გამოისყიდა; რამდენიმე თვით ადრე კი, კომპანია „რიქსოსი“, რომელიც სასტუმროს მართვაში 2015 წლის თებერვლიდან იყო, მართვიდან გავიდა.

სასტუმრო დღემდე „ბორჯომი ლიკანის“ სახელით ოპერირებს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი დღეს სს „საქართველოს განვითარების ფონდია“. ფონდმა სასტუმრო „ბორჯომი ლიკანის“ საინვესტიციო პაკეტი გაამზადა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ამ პროექტიდან ფონდის გასვლის მიზნით.

2. სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“

თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა

ადგილმდებარეობა: თბილისი

ამიერკავკასიაში პირველი სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა – „საქართველოს განვითარების ფონდისა“ და ებრაული კომპანია „Elbit Cyclon-ის“ ერთობლივი პროექტი. საწარმო საქართველოში კომპოზიტური მასალებისგან



სამოქალაქო თვითმფრინავების მაღალი სტანდარტის შესაბამის ნაწილებს, მათ შორის, თვითმფრინავის კარებებს, აეროდინამიკურ ზედაპირებს, საკონტროლო პანელებს სხვა ნაწილებს ამზადებს. საწარმოში დამზადებული პირველი პროდუქცია მსოფლიო ავიაციის უმსხვილესმა ავიაკომპანია „Boeing“-მა შეისყიდა. აღნიშნულ პროდუქციას ქარხანა ასევე მიაწვდის თვითმფრინავების მწარმოებელ ისეთ ცნობილ კომპანიებს, როგორებიცაა: Airbus, Bombardier და სხვა.

ამ დროისთვის ქარხანაში 120-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, რომლებმაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადამზადება ისრაელის კომპანია „ელბიტ საიკლონის“ სპეციალისტებთან გაიარეს. სწავლება ეტაპობრივად გრძელდება. ქარხანა ISO-ს სერტიფიკატსა და „Boeing“-ის შესაბამისობის სერტიფიკატს ფლობს.

„ელბიტი“ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კვოტირებული, მსოფლიოში აღიარებული მწარმოებელია და „ბოინგის“, „ეარბასის“, „ბომბარდიერის“, ასევე, მსოფლიოში ცნობილი სხვა მსხვილი კომპანიების პარტნიორია.

3. შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი“

ადგილმდებარეობა: ზუგდიდის რაიონი, სოფელი რუხი

სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ მხარდაჭერით, სამეგრელოში, სოფელ რუხში, ენგურის ხიდიდან 600 მეტრში აშენდა მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი, რომელმაც ე.წ. საზღვრის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობას სავაჭრო ცენტრის



მრავალფუნქციური სერვისით სარგებლობის საშუალება მისცა. ცენტრში წარმოდგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ბრენდირებული და არაბრენდირებული კომპანიები, საცალო, საბითუმო, ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიები, ჰიპერმარკეტი, ღია ტიპის ბაზარი, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი, საფინანსო და საბანკო მომსახურების ობიექტები, ავტოსერვისი, ფოსტა, აფთიაქი და სხვა. რუხის სავაჭრო ცენტრი დღეს რეგიონის ერთ-ერთ მასშტაბურ სავაჭრო დაწესებულებას წარმოადგენს.

4. შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარება“

ჯინო გრინ სიტი

ადგილმდებარეობა: თბილისი

„საქართველოს განვითარების ფონდი“, ევროპულ კომპანია „Gino Holding“-თან ერთად, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მასშტაბური პროექტის განხორციელებას გეგმავს, რაც 110 ჰექტარზე ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ქალაქის მშენებლობას და სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.



5. შპს „სტარტაპ საქართველო“

სტარტაპ საქართველო - საინვესტიციო პროგრამები

დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამა "სტარტაპ საქართველო" საქართველოს მთავრობის ინიციატივით სს „საპარტნიორო ფონდი“-ს მიერ დაფუძნდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებას საქართველოში. პროგრამა ერთობლივად შემუშავდა და საპარტნიორო ფონდის და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, რომელიც დამტკიცდა მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით. პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან: ინოვაციური კომპონენტი და მაღალტექნოლოგიური კომპონენტი. ინოვაციურ კომპონენტში სტარტაპერების დაფინანსებას ახორციელებს სს „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილო კომპანია „სტარტაპ საქართველო“ ხოლო მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში პროგრამას ახორციელებდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.



"სტარტაპ საქართველო"-ს ინოვაციურ კომპონენტში დაფინანსების მოპოვება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ან პირთა ჯგუფს, რომელთაც აქვთ ინოვაციური ბიზნეს იდეა. დასაშვებია ნებისმიერი სფეროს/დარგის დაფინანსება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

"სტარტაპ საქართველო"-ს ინოვაციური კომპონენტის ფარგლებში 2016-24 წლისათვის გამოვლენილ იქნა 92 გამარჯვებული პროექტი 7,4 მილიონი ლარის საინვესტიციო მოცულობით, ხოლო "სტარტაპ საქართველო"-ს მაღალტექნოლოგიურ კომპონენტში 20 პროექტი, 2 მილიონი ლარის მოცულობით.

ფონდის მიერ სპეციალურად შექმნილი შვილობილი კომპანია "სტარტაპ საქართველო" თითოეულ დაფინანსებულ ბენეფიციართან ერთად აფუძნებს ახალ კომპანიას (სტარტაპს), რომელშიც კაპიტალის სახით შეიტანს 15 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. ამ მოდელით, პროგრამის ბენეფიციარს თანამონაწილეობის სახით, მხოლოდ პროექტის ჯამური ღირებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობის თანხის შეტანა მოუწევს, ხოლო მისი ბიზნესიდეა ავტომატურად შეფასდება, როგორც ერთობლივი კომპანიის კაპიტალში 45%-იანი შენატანი. შესაბამისად, მხოლოდ 10%-ანი თანხობრივი თანამონაწილეობის პირობებში პროგრამის ბენეფიციარი ხდება 50.5%-იანი წილის მფლობელი ახალ კომპანიაში. დღეის მდგომარეობით "სტარტაპ საქართველო"-ს ინოვაციურ კომპონენტში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 4,3 მილიონ ლარს (59 პროექტი) (სრულად ან ნაწილობრივ).

ბენეფიციარების მხრიდან "სტარტაპ საქართველო"-ს წილის გამოსყიდვა ხდება წინასწარ შეთანხმებულ ვადაში, რომელიც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ბიზნეს იდეის სპეციფიკაზე. გამოსყიდვის მაქსიმალური ვადა შეიძლება იყოს 10 წელი. გამოსყიდვის ფასი შეადგენს „სტარტაპ საქართველოს" მიერ ინვესტირებულ თანხას დამატებული წლიური 10% რთული დარიცხვის მეთოდით, ფაქტიური ვადის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია რომ დღეის მდგომარეობით "სტარტაპ საქართველო"-ს წილის ვადაზე ადრე გამოსყიდვის 14 შემთხვევაა დაფიქსირებული. ბენეფიციარების მხრიდან ჯამურად დაბრუნებული ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 1,320,000 ლარს. ხოლო ჯამურად სრულად და ნაწილობრივ გამოსყიდული ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 1,631,000 ლარს.

2019 წლიდან "სტარტაპ საქართველო" აქტიურად თანამშრომლობდა USAID-ის პროექტი ზრდასთან, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში "სტარტაპ საქართველო"-ს და პროექტი ზრდას მიერ შემუშავებულ იქნა ერთობლივი ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა პირობითი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდებარე სოფლებში მოსახლეობისათვის შესაძლებლობის გაჩენას, დაეწყოთ ინოვაციური, სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნესები, რაც განაპირობებს ადგილზე მეტი საწარმოს და მეტი სამუშაო ადგილების შექმნას.

"სტარტაპ საქართველო"-ს და USAID-ის პროექტი ზრდას თანამშრომლობის ფარგლებში გამოვლენილ იქნა 5 გამარჯვებული პროექტი, ჯამური საინვესტიციო მოცულობით 2,8 მილიონი ლარი, საიდანაც 1,241,000 ლარი არის USAID-ის მიერ გამოყოფილი საგრანტო დაფინანსება, 1,050,870 ლარი არის ბენეფიციარების მხრიდან გათვალისწინებული თანამონაწილეობა, ხოლო 480,000 ლარი "სტარტაპ საქართველო"-ს თანადაფინანსება. გამარჯვებული პროექტების მიერ პირობითი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდებარე სოფლებში შეიქმნა 85-მდე ახალი სამუშაო ადგილი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს იქ მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსებული 5 საწარმოდან, ორმა ვადაზე ადრე შეძლო და გამოისყიდა სტარტაპ საქართველოს ინვესტიცია სრულად.

განვითარების გეგმები

2023 წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, 2024 წლიდან ფონდი ფუნქციონირებს ახალი საინვესტიციო მანდატით და ბიზნეს-მოდელით. თუ 2023 წლამდე ფონდის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო სს „საქართველოს რკინიგზისგან“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან“ მიღებული დივიდენდები, 2024 წლიდან ფონდის ძირითადი შემოსავლის წყაროა საპროცენტო და საინვესტიციო შემოსავლები. საპროცენტო შემოსავლები მოიცავს ფონდის მიერ გაცემული მეზანინ დაფინანსებიდან და საბანკო ნაშთებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებს. საინვესტიციო შემოსავალში იგულისხმება საკუთარი კაპიტალის მიწოდებით დაფინანსებული პროექტებიდან მიღებული ის ამონაგები, რაც აღემატება ამ პროექტების საბალანსო ღირებულებას.

რაც შეეხება დაფინანსების წყაროს, სამომავლოდ, ფონდი საკუთარი დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ განიხილავს მულტილატერული განვითარების ბანკებისგან, ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების განვითარების ინსტიტუტებისგან მიღებულ თანხებს.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფონდის თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის ფონდის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ფონდისათვის კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა. ამ კუთხით არსებული რისკების გავლენის შემცირებას ხელს უწყობს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფინანსური სახსრები.

ფონდს გააჩნია სავალუტო ოპერაციები და იგი სენსიტიურია სავალუტო კურსის ცვლილებების მიმართ. ფონდის ფულადი ნაკადები განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც ამცირებს ფულადი ნაკადების რისკებს.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შენიშვნა N25), რომელიც გაიცა 2025 წლის 11 ნოემბერს.

კორპორატიული მართვა

ეფექტური კორპორატიული მმართველობა წარმოადგენს წარმატებული ბიზნესის საფუძველს. ფონდის კორპორატიული მმართველობის სისტემა მიმართულია ინვესტორებთან, აქციონერებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სანდო და საიმედო ურთიერთობების შენარჩუნებაზე და მის განვითარებაზე, რაც ზრდის ფონდის საინვესტიციო მიმზიდველობას.

ფონდში დასაქმებული ყველა თანამშრომელს გააჩნია სამუშაოს აღწერილობა და თანამშრომლების სამსახურში აყვანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე არსებული აუდიტის კომიტეტი, კომპანიის შიდა აუდიტთან ერთად, უზრუნველყოფს რელევანტურ რისკებზე რეაგირებას და/ან მათ თავიდან ასაცილებლად შიდა კონტროლის პროცედურების გატარებას. აუდიტის კომიტეტი ასევე თანამშრომლობს გარე აუდიტორებთან, რათა დარწმუნდეს, რომ წლიური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შეცდომებს და შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

შიდა კონტროლის სისტემა

ფონდის შიდა კონტროლის სისტემა ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც გულისხმობს, რომ მონიტორინგის რესურსები და ყურადღება უპირატესად მიემართება იმ აქტივებსა და სფეროებზე, რომლებიც მაღალი რისკის დონით ხასიათდება ან ფონდისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. მონიტორინგის სიღრმე და სიხშირე განისაზღვრება აქტივის ტიპის, მისი ფინანსური მდგომარეობისა და საბაზრო გარემოს გათვალისწინებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და კრიტიკულ საკითხებზე დროულ რეაგირებას.

ფონდის შიდა კონტროლის სისტემა არის დინამიკური და ექვემდებარება პერიოდულ გადახედვასა და დახვეწას, რათა მუდმივად შეესაბამებოდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და ფონდის ცვალებად სტრატეგიულ მიზნებს. საბოლოო ჯამში, შიდა კონტროლის მოდელი ემსახურება ფონდის, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტის, მთავარ პრინციპებს — გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და კაპიტალის ეფექტიან მართვას.


გარემოს დაცვა


გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება, გაკონტროლება და მათზე ადეკვატური რეაგირება ფონდის გარემოსდაცვითი სტრატეგიის ნაწილია. ფონდის შესაბამის საინვეტიციო პროექტში გარემოს დაცვითი საკითხების შესწავლა ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

ფონდის ხედვებიდან, ფასეულობებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებზე და გარემოზე ზრუნვა, ქველმოქმედება და სხვა სოციალურად საჭირო აქტივობები არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც კონცენტრირებულია ფონდის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს და ხელმოწერილია:


ბესიკ ბუგიანიშვილი
ადმასრულებელი დირექტორი


იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
დირექტორი

შიდა კონტროლის სისტემა

ფონდის შიდა კონტროლის სისტემა ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც გულისხმობს, რომ მონიტორინგის რესურსები და ყურადღება უპირატესად მიემართება იმ აქტივებსა და სფეროებზე, რომლებიც მაღალი რისკის დონით ხასიათდება ან ფონდისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. მონიტორინგის სიღრმე და სიხშირე განისაზღვრება აქტივის ტიპის, მისი ფინანსური მდგომარეობისა და საბაზრო გარემოს გათვალისწინებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და კრიტიკულ საკითხებზე დროულ რეაგირებას.

ფონდის შიდა კონტროლის სისტემა არის დინამიკური და ექვემდებარება პერიოდულ გადახედვასა და დახვეწას, რათა მუდმივად შეესაბამებოდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და ფონდის ცვალებად სტრატეგიულ მიზნებს. საბოლოო ჯამში, შიდა კონტროლის მოდელი ემსახურება ფონდის, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტის, მთავარ პრინციპებს — გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და კაპიტალის ეფექტიან მართვას.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება, გაკონტროლება და მათზე ადეკვატური რეაგირება ფონდის გარემოსდაცვითი სტრატეგიის ნაწილია. ფონდის შესაბამის საინვეტიციო პროექტში გარემოს დაცვითი საკითხების შესწავლა ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

ფონდის ხედვებიდან, ფასეულობებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებზე და გარემოზე ზრუნვა, ქველმოქმედება და სხვა სოციალურად საჭირო აქტივობები არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც კონცენტრირებულია ფონდის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს და ხელმოწერილია:

ბესიკ ბუგიანიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

იოსებ მამუკელაშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
დირექტორი